

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

ბაჰათი 24 საათი

ხათბატოი, 7 ნოემბერი, 2002 წელი. №158

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

თედო ჰაფარიძე:
აუცილებელია
საქართველოს შიდა
პრობლემების
დროული მოგვარება

ტრადიციულად, რესპუბლიკელები უფრო ხისტები არიან და ნუ გვგონია, რომ ძველი მეგობრობა ვინმეს არსებულ პრობლემებზე თვალს დაახუჭვინებს. წინა პლანზე წამოიწივს საქართველოს შიგნით არსებული პრობლემების დროული და ეფექტური მოგვარება.

A3

ეკონომიკა

„იტიარ“ „აჰოტის“
ერთადერთი მხსნელი
არ არის

რამდენიმე დღის წინ რუსთავის საქალაქო სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა საქციო საზოგადოება „აჰოტის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში რეგისტრაციის რეჟიმის დამტკიცების შემდეგ მომხდარი ცვლილებები და კიდევ ერთხელ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადც „საზოგადოების მთელი ქონების განკარგვისა და მართვის უფლებამოსილება ენიჭება სანარმოს რეგისტრაციის მმართველს“.

A4

უხსნოთი

ბაჰს თუ არ
ბაჰოუგვავი,
ნატო-ში გვავალ

ორიოდე დღის წინ რუსეთმა ბელორუსს გაზის მიწოდება გაუწაგვრა. საპასუხო ლუკაშენკო „უფროს მძას“ ნატო-ში შესვლით დაემუქრა.

A5

საზოგადოება

ბავგვთა უფლებახის
ცხნტრი სპეციური
რეკომენდაციხს
აგვადახს

ამ ცოტა ხნის წინათ მარტყოფის ბავგვთა სახლიდან 9 წლის ბიჭი გაიპარა. საღამოს 9 საათისთვის იგი ავჭალის ქალთა კოლონიის ფიშკართან იდგა და პატიმარი დედის ნახვას ითხოვდა.

A6

სამართალი

„ბიორგი ბამსახარდისა
გვავრდნაქი
მფარველობს“, -
აგვოტან
დაჰარალეხულები

მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურაში რამდენიმე კვირის წინ ხეივა კიკნაძისა და გურამ ჯავახიშვილის საჩივარი შევიდა...

A7

ბუხინ „სოციხლიზმი“ ისევ დამარცხდა



ივინის ის. ვინც ბოლოს ივინის. დენის დავითაშვილი და სოციხლისტების ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე

სოფო ბაჰია

თბილისის საოლქო სასამართლო გუშინ თორმეტი საათის განმავლობაში განიხილავდა სოციხლისტების სარჩელს ცესკო-ს წინააღმდეგ. საბოლოოდ მოსამართლე ინგა თოდრაძე მოსარჩელები უარით გაისტუმრა, თუმცა, მათ დარჩათ კიდევ ერთი შანსი – გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება. 2002 წლის 1 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა თბილისის საკრებულოს არჩევნების შემავამებელი ოქმი, რითიც მწვანე შუქი აუთო თბილისის ახალი საკრებულოს ფუნქციონირებას. სოციხლისტები სწორედ ამ ოქმის კანონიერებას აპროტესტებდნენ, ხელახალი არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ და ცესკო-ს საქართველოს კონსტიტუციის, საარჩევნო კოდექსისა და უზენაესი სასამართლოს 5 ნომერის დადგენილების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდნენ. რჩეულოშვილის გუნდმა ორი საბარჩელო განცხადება მოამზადა, რომელთაგან ერთი საოლქო სასამართლოს გაეგზავნა, მეორე კი - უზენაეს სასამართლოს. საოლქო სასამართლოში პროცესზე მესამე მხარედ თბილისის ახალი საკრებულო გამოიძახეს. სასამართლოს სხდომას ყველა იმ პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომელთაც საკრებულოში მანდატი ერგოთ. მოსარჩელო მხარეს ცესკო-ს წევრი, სოციხლისტი დენის დავითაშვილი წარმოადგენდა.

ბაჰრქალეხა A2 გავრდვა

ხელისუფლებახაჰე ზემოქმედების ერთადერთი გზა - ხალხის ძალა

აკა კვინიძე

საკრებულოში, კვირის დასაწყისში განვითარებულ მოვლენებს თითქმის ერთგვაროვანი შეფასება მიეცა – ეს იყო ძალადობრივი აქტი ოპოზიციის მხრიდან. ის, რაც ორმაზათს საკრებულოს შენობის შიგნით და გარეთ ხდებოდა, მართლაც შეიცავდა ძალადობისა და კანონდარღვევის ელემენტებს. სრულიად სამართლიანი აღმუთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საკრებულოს სამ წევრს აბსოლუტურად უკანონოდ შეუწერეს უფლებამოსილება. გამაღიზიანებელი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ მერიის შენობის პიკეტირება.

ეს ერთი მხარეა, შეიძლება ერთადერთიც კი, რომელზეც პოლიტიკოსები თუ მასმედიის წარმომადგენლები ყურადღებას ზედმიწევნით დეტალურად ამახვილებდნენ. სამაგიეროდ, ამ დღეებში არავის უსაუბრია იმ უზარმაზარ „დამსახურებაზე“, რომელიც მთელ ამ არეულობაში ხელისუფლებას მიუძღვის. ყველამ ერთხმად დავმო ის დეპოზი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარასკევს ცესკოს შენობაში სხდომის დაწყებამდე მოაწყო. ეს მართლაც არასასურველი სანახაობა იყო, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მომხრეებს თან იარაღიანი ადამიანიც ახლდა, რაც აბსოლუტურად მიუღებელი და გაუმართლებელია.

ბელი და გაუმართლებელია. მაგრამ სრულიად ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია ისიც, რომ ზენოლის გარეშე ცენტრალური საარჩევნო კომისია გადანყვეტილებას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ მიიღებდა. სააკაშვილისა და უენიას განცხადებებს, თუ ხელისუფლება ისევ გააგრძელებდა საკრებულოს მუშაობის ხელოვნურ დაბლოკვას, ამით იგი სერიოზული არეულობის პროვოცირებას მოახდენდა, კანცელარის შესვეურებისგან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ეს პროგნოზი გამართლდა. საბედნიეროდ, არეულობის მასშტაბი არცთუ ისე დიდი იყო.

ბაჰრქალეხა A2 გავრდვა

ენარბეტიკის მინისტრს სერიოზული პრობლემები ელის

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ სათბო-ენერგეტიკის მინისტრს ყოველდღიურად ტელევიზიით გამოსვლა და საზოგადოებისთვის იმის მოხსენება დაავალა, თუ ქალაქის რომელ უბანს, რატომ და რამდენი ხნით არ მიეწოდებოდა ელექტროენერჯია. საგარეულო, რომ ამიერიდან მინისტრი ყოველდღიურად შეგვახსენებს ხოლმე „ვი-ი-ს მტკვარის“ მიერ გეგმიურ ენერგობლოკის ჩართვისა და რუსეთიდან დენის იმპორტის აუცილებლობას. საგარეულო აგრეთვე, რომ ის იმ გაჭირვებაზეც ისაუბრებს, რომელშიც ჩვენი ენერგეტიკის დარგია ჩავარდნილი. თუმცა, ფრიად საეჭვოა, მან განმარტოს, თუ რატომ იხარჯება უყარათოდ ენერგოსისტემის კუთვნილი თანხები, რატომ ფორმდება კაბალური ხელშეკრულებები და რატომ ნიაგდება ჯერ კიდევ სახელმწიფოს კუთვნილი ქონება. ყოველივე ამის შესახებ, ალბათ, მინისტრი არ ისაუბრებს, რადგან ამ გვარ საზარალო განკარგულებათა აბსოლუტურ უმრავლესობას პირადად მისი ვიზა ადევს.

ბაჰია ურუხაქი

ინფორმაცია ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ დღეს პარლამენტმაც უნდა მოისმინოს. ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა მთავრობასა და პარლამენტს ზოგი - ახალი, ზოგი - კი ძველი, მაგრამ რეაგირების გარეშე დარჩენილი დოკუმენტები უნდა დაუღაგოს. სქელდინიანი მოხსენება, რომელიც ირაკლი ჩუბინიშვილმა უნდა გა-

ბაჰრქალეხა A8 გავრდვა

სავალუტო ფონდი საქართველოს შიდაპოლიტიკურ ინტრიგებში ეხვევა

ბიორგი კალანდია

„ფოთის პორტის“, „საქართველოს რკინიგზისა“ და სამთავამადიდრებელი კომპინატის „მადნეულის“ საფინანსო ანგარიშს 2003 წლიდან მსოფლიოში აღიარებული აუდიტური კომპანია შეისწავლის. ასეთი კომპანია მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ტენდერით უნდა გამოავლინოს. ესაა ერთ-ერთი იმ რეკომენდაციათაგანი, რომლის შესრულებაც საქართველოსთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 30 მილიონი დოლარის კრედიტის გამოყოფაა დამოკიდებული. ეს რეკომენდაცია უკვე აისახა პრეზიდენტის განკარგულებაში „სა-

ბაჰრქალეხა A4 გავრდვა

თავისუფალი შონ



ვალერი ხაბურძანი და გათავისუფლებული პიტერ შო.


B1

ბაჰია ხაბურძანი

გაზს თუ არ გამოუხვებით, ნატო-ში ხვალ

ლუკაშენკოს სიურპრიზები გრძელდება

პრეტა უიკაშვილი



ალექსანდრ ლუკაშენკო

სათვის ცხადია, რომ პუტინის ხელი სულფეზში მოსვლის შემდეგ, მისი კისა და მოსკოვის ურთიერთობები სულ უფრო უარესდება. საკაცბირო სახელმწიფოს შექმნა, შეიძლება ითქვას, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ლუკაშენკომ ყოფილი "უფროსი ძმის" მიმართ კიდევ ერთი "დამსჯელი ღონისძიება" გაატარა, რითიც პირდაპირ გააოგნა როგორც მოსკოვი, ისე ბრიუსელი. ბელარუსმა დიპლომატიკაში გუშინ განაცხადეს, რომ პრეზიდენტს სურს, მონაწილეობა მიიღოს 21 ნოემბერს პრაღაში დაგეგმილ ევროატლანტიკური საბჭოს სამიტი, რომელიც ნატო-ს ლიდერთა შეხვედრის პარალელურად უნდა გაიმართოს. აქამდე ლუკაშენკო არაფერს, რაც ნატოსთან იყო დაკავშირებული, სათოფვე არ ეკარებოდა.

ნატო-ს წარმომადგენლები ამ ფაქტის კომენტარებისას მხრებს იჩენენ და ამბობენ, რომ ბელარუსი ევროატლანტიკური საბჭოს წევრია და ამიტომ საბჭოს არა აქვს ფორმალური მიზეზი, უარი უთხრას მის პრეზიდენტს. ასე რომ, ლუკაშენკოს მალე ალბათ ნატო-ს ლიდერთა გარემოცვაში ვიხილავთ.

ალსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოებაც: როგორც ცნობილია, პრაღაში მიმდევარზე, ერაყთან იარაღით ვაჭრობაში ბრალდების გამო, უარი უთხეს უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას. ბოლო რამდენიმე წელია, იმავე ბრალდებას უყენებენ ბელარუსსაც. თანაც, საუბარია არა მხოლოდ ერაყთან, არამედ ირანთან ვაჭრობაზეც, რისთვისაც აშშ-მ რამდენიმე ბელარუსულ კომპანიას სანქციები დაუწესა. გარდა ამისა, დასავლეთი გალიზიანებული იმითაც,

ორიოდე დღის წინ რუსეთმა ბელორუსს გაზის მიწოდება გაუნახევრა. "გაზრობის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ქვეყანას კომპანიის 190 მილიონი დოლარი მართებს, რომლის გადახდასაც სამწელი არ დაადგა.

ამავე დროს, "გაზრობის" აცხადებს, რომ იგი ბელორუსს წლიურად 10 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწვდის შეღავათიან ფასებში. ბელორუსმა ეს მოცულობა უკვე მოიხმარა. თუ მისკს კიდევ სურს გაზის მიღება, დამატებითი აირი მან უკვე საბაზრო ფასებში უნდა შეიძინოს.

თავის მხრივ, ლუკაშენკო ამტკიცებს, რომ გაზის მიწოდების შეწყვეტის გადაწყვეტილება პირდაპირ კრემლიდან მოდის. განახყენებული პრეზიდენტი ამბობს, რომ მის ქვეყანას აღარ სურს შეღავათიანი გაზის შექმნა და მზადაა, იგი კომერციულ ფასებში შეიძინოს. თანაც, ლუკაშენკომ თავის მთავრობას დაავალა, "გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროს მოძიებაზე იფიქროს". ამასთან, მისი თქმით, რუსეთსაც, "დასავლეთ ფრონტზე კრემლის ინტერესების დაცვისათვის", საბაზრო ფასებში უნდა გადაიხადოს. "ინტერესების დაცვაში", როგორც ჩანს, ლუკაშენკო, ძირითადად, გაზის ტრანზიტს გაულისხმობს. გვიანტური განხილვის "იამალი - დასავლეთი ევროპა" სწორედ ბელორუსის ტერიტორიაზე გაივლის.


რაც შეეხება უკვე არსებული ვალის გადახდას, ლუკაშენკო ამხსნევს უარს ამბობს, რადგან, მისი თქმით, სხე-ნეგული გაზსადენის მშენებლობისას რუსეთისათვის გადახდილი შეღავათები თითქმის უტოლდება დაგროვილ დავალიანებას. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა მთავრობას დაავალა, წარუდგინოს რუსეთის იმ 500 მილიონი დოლარის (?) ანგარიში, რომელიც მის ქვეყანას დააკლდა არაპირდაპირი გადასახადების აუკრეფელობის შედეგად.

ლუკაშენკო, როგორც ჩანს, ძალიან არის კრემლზე გაბრაზებული. ყველა-

ჩინეთი ახალი ლიდერი მოლოდინში

ქინე ქაინის აჟოქა დასასრულს უახლოვდება

ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის კონგრესი ძიან ქაინის მმართველობის ხანას დასასრულს და მის მემკვიდრედ ჰუ ჰინტაოს არჩევს, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დაეკისრება. თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, ძე-მინი სახმედრო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გარკვეულ ძალაუფლებას შეინარჩუნებს.



1989: ტიანანმენის მოედანზე გამართული დემონსტრაციების შედეგად, დენ სიაოპინი იძულებული გახდა, ლიბერალური მიმართულების ძე-მინი (მარჯვნივ) ჩინეთის არმიისა და პარტიის ლიდერად დაენიშნა.

1992: ჩინეთმა რუსეთთან მეგობრული კავშირები აღადგინა. ჩინეთის ეკონომიკამ მსოფლიოში მესამე ადგილი დაიკავა.

1993: ძე-მინი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

1997: გარდაიცვალა დენ სიაოპინი. ჰოვგ კონგ ჩინეთის მემკვიდრეობაში ზრუნვდა.

1999: ნატო ბელგრადში ჩინეთის საელჩოს ბომბავს. აშშ-ჩინეთის ურთიერთობები მწვავედ გადაიქცა.

2000: ჩინეთი ევროკავშირთან და აშშ-სთან ორმხრივ ხელშეკრულებებს აწერს ხელს, რითიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის შესვლა მზადდება.

2001: აპრილი: ჩინეთის ტერიტორიაზე აშშ-ს სადაზვერუო თვითმფრინავი და ეკიპაჟის დაკავებაზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დანიშნულება გამოიწვია.

აგვისტო: ჩინეთმა, რუსეთთან და ცენტრალური აზიის ოთხმა ქვეყანამ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია დაუდგეს სათავე, რომლის მიზანაც რელიგიურ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლაა.

ივლისი: პეკინის განაცხადმა გაიმარჯვა და ჩინეთი 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს მფლობელი გახდა.

ოქტომბერი: ძე-მინი 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შედეგად, აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარებას სთავაზობს.

ქინე ქაინის მემკვიდრეობა და აშშ-სთან ორმხრივ ხელშეკრულებებს აწერს ხელს, რითიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის შესვლა მზადდება.

2001: აპრილი: ჩინეთის ტერიტორიაზე აშშ-ს სადაზვერუო თვითმფრინავი და ეკიპაჟის დაკავებაზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დანიშნულება გამოიწვია.

აგვისტო: ჩინეთმა, რუსეთთან და ცენტრალური აზიის ოთხმა ქვეყანამ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია დაუდგეს სათავე, რომლის მიზანაც რელიგიურ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლაა.

ივლისი: პეკინის განაცხადმა გაიმარჯვა და ჩინეთი 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს მფლობელი გახდა.

ოქტომბერი: ძე-მინი 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შედეგად, აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარებას სთავაზობს.

ლუკაშენკო ავიაკატასტროფა მოხდა

გუშინ, ლუკსემბურგის აეროპორტში დაჯდომის დროს, კატასტროფა განიცადა ლუკსემბურგის სამგზავრო თვითმფრინავმა. კომპანია "ლუქსეარის" ავიალინიის ბორტზე 19 მგზავრი და ეკიპაჟის სამი წევრი იმყოფებოდნენ.

საავიაციო "როიტერის" ინფორმაციით, თვითმფრინავი ბერლინიდან მოფრინავდა. კატასტროფა ადგილობრივი დროით 10:15 წუთებში მოხდა. თვითმფრინავი იმ დროს ჩამოვარდა, როდესაც დასავლეთი საზღვრისა და დასავლეთის მიწების საზღვრებს შორის იყო დარჩენილი. ავიაკატასტროფის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილთა უმრავლესობა გერმანიისა და ლუქსემბურგის მოქალაქეები არიან. ლუქსემბურგის პოლიციის მონაცემებით, ავარიის დროს აეროპორტის თავზე ძლიერი ნისლი იყო ჩამოხრილი. იმის კომენტარებისაგან, თუ რა შეიძლება გამოდარიყო კატასტროფის მიზეზი, ლუქსემბურგის ხელოვნულმა, ჯერჯერობით, თავს იკავებს. ისინი გადმოიბეჭდეს შედეგებს ელოდებიან. ერთადერთი, რაც ცნობილია, არის ის, რომ ეკიპაჟს სადისპეტ-



მაშველები ავიაკატასტროფის ადგილას.

ჩერო სამსახურისთვის არანაირი საგანგაშო შეტყობინება არ გადაუცია. ლუქსემბურგის ყველა რეისი მომხდარის გამო გადაადგეულია.

როგორც დადგინდა, დაღუპული თვითმფრინავი ექსპლუატაციაში 1991 წელს შევიდა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე, ავიაკომპანია "ლუქსეარის" ისტორიაში ეს პირველი ავიაკატასტროფაა. ამ კომპანიის



13 პროცენტი გერმანულ ავიაკომპანია "ლუქსემბურგის" კუთვნილია, ხოლო 36 პროცენტს ლუქსემბურგის მთავრობა განკარგავს, დანარჩენი ნაწილი კი თავად კომპანიის კუთვნილებაა.

პრეზიდენტი ბუშის ტრიუმფალური გამარჯვება

ლევან დინიაშვილი

გუშინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონგრესის შუამდგომლობით არჩეული პრეზიდენტი გეორჯ ბუში ანალიტიკოსთა ვერაძე-დი არ გამართლდა და რესპუბლიკელმა გუბერნატორებმა შტატების უმრავლესობაში თავიანთი პოსტები შეინარჩუნეს. გარდა ამისა, მათ კონგრესის ორივე პალატაზე კონტროლი მოიპოვეს.

ფლორიდის შტატის გუბერნატორის არჩევნებში პრეზიდენტ ბუშის ძმის - ჯეი ბუშის - გამარჯვება არჩევნების ცენტრალურ მოვლენად იქცა. მან ხმების 57 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა კონკურენტმა დემოკრატიული პარტიიდან, ბილ მაკბრაიდმა - 42 პროცენტი. ჯეი ბუში პირველი რესპუბლიკელია, რომელმაც ფლორიდაში გუბერნატორის არჩევნებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა გამარჯვება. ექსპერტების განცხადებით, ფლორიდაში ჯეი ბუშის გამარჯვება პრეზიდენტ ბუშისთვის წვლილის გამოცხადების ტოლფასია.

ასევე პოსტი შეინარჩუნა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ პატაკიმ, რომელმაც უკვე მესამედ მოიპოვა ამ შტატის მართვის უფლება. რაც შეეხება პრეზიდენტ ბუშის მმართველი რეგიონს, ტეხასის შტატს, თავისი პოსტის შენარჩუნება აქაც რესპუბლიკელმა გუბერნატორმა ბილ უეიტი მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს სამი



ჯორჯ ბუში

შტატი - ფლორიდა, ტეხასი და ნიუ-იორკი - თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით საპრეზიდენტო არჩევნებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. გარდა ამისა, რესპუბლიკელებმა დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს მასაჩუსეტსის, სამხრეთ კაროლინის, სამხრეთ დაკოტას, მერილენდის, ნევადას, ნიუ-მექსიკოს და როდ-აილენდის შტატებში გამართულ გუბერნატორის არჩევნებში.

რაც შეეხება კონგრესის არჩევნებს,

რო შედეგების თანახმად, მათ 50 ადგილი გაინაღდეს. ხმების თანხრად გაყვი-ვის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ვი-ცე-პრეზიდენტ დიუ ჩეინის ეკუთვნის, რაც ასაკაციან სენატში რესპუბლიკელების უპირატესობაზე მივანიშნებს.

დამკვირვებელთა განცხადებით, ამ არჩევნებზე უკვე ორი რეკორდი დაფიქსირდა. პირველი, ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა. საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა სავალი რაოდენობის, დაახლოებით, 35 პროცენტი გამოცხადდა. მეორე რეკორდულ მარცხენადად შეიძლება არჩევნებზე დახარჯული ფული ჩაითვალოს. ეს არჩევნები მეორე-ბუშის შტატებს, დაახლოებით, 1 მილიარდი დოლარი დაუჯდა, რაც საპრეზიდენტო არჩევნებზე დანახარჯმა 672 მილიონ დოლარს არ გადააჭარბა.

ექსპერტების ვარაუდი, რომ ეს არჩევნები ყველაზე მჭიდროდებული იქნებოდა, საბოლოოდ გამართლდა. ფულის ფაქტორი აშშ-ს არჩევნებში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოუხდავად, ამერიკელებმა უარი თქვეს სოციალური კეთილდღეობის და შიდა პრობლემების მოგვარების პრიორიტეტულულებაზე. მათ უპირატესობა ტერორიზმთან ბრძოლაში და აშშ-ს წინაშელოდობით მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მიანიჭეს.

ჩინეთში რუსეთის ჯარების დიდხანს დარჩენა

ჩინეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების რაოდენობა მხოლოდ მას შემდეგ შემცირდება, როდესაც ბანდოზირებული მეთაურების განადგურება ან დაპატიმრება მოხდება. ამის სურსებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ულადივოსტოკში, საბუშო ვიზიტით ყოფნის დროს განაცხადა. "დღევანდელ ვტაპზე იქიდან მათ გამოყვანას, ნაარჯვად მივიჩ-

ნევ მანამდე, ვიდრე მეთაურები, მათი ხელშეწყობები და ამ მანქანის ბრმა ქანჩიკები - ტრანქტების უსულო შემსრულებლები, თვითმკვლელები - ე.წ. შაჰიდებიც კი არ იქნებიან განადგურებული", განაცხადა ივანოვმა. მისი თქმით, მოსკოვის ტერაქტის შემდეგ შეჩერებულია ჩინეთში სამხედრო დანაკარგების რაოდენობის შემცირების პროცესი, ამასთანავე, ივანოვის ინფორმაციით,

თულ თაობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 2003 წელს, რეგიონში, ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩატარდეს. ივანოვის თქმით, ეს წვრთნები ერთდროულად სამი ზღვის - იაპონიის, ოხოტის და ბურინგის - აკვატორიაში გაიმართება. წვრთნების მიზანია ბრაკონიერობასთან, ბიოტერორიზმთან, ნარკოტრაფიკთან და უკანონო მფარველთა ბრძოლის გაუმჯობესება იქნება.

ლევან დინიაშვილი

უახლოეს დღეებში ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ყრილობა ქვეყნის ახალ ხელმძღვანელს დასახელებს. იგი ჰუ ჰინტაო იქნება, რომელიც ჩინეთის ლიდერის პოსტზე ძიან ქაინის შეცვლის და რევოლუციის შემდეგ მეთიხვე მმართველი გახდება. ამჟამინდელი პრეზიდენტი - ძიან ქაინი, მათ ძე დუნი-სა და დენ სიაოპინის შემდეგ, ჩინეთის მესამე ხელისუფალია. იგი საკუთარ თავს "მთავარ ინჟინერს" უწოდებს. დენ სიაოპინი საკუთარ პიროვნებას, როგორც "დიად არქიტექტორს" ისე განიხილავდა, ხოლო მათ - "ქვეყნის მამა-მარჩენელად" იყო ცნობილი.

ძიან ქაინის მმობლოური ქალაქი, იანჩოუ, შანხაიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. იმ სახლში, სადაც ძე-მინი ბავშვობა გაატარა, ერთ დროს მისი მემორიალური დაფა ეკიდა. თუმცა, მისივე ბრძანებით, ეს დაფა ჩამოსხნეს. ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა - ძიან ქაინი პიროვნების კულტის წინააღმდეგია. ჩინეთის ლიდერის და მისი გარემოცვის გადაწყვეტილება - არ დაუმან ქვეყანაში პიროვნების კულტის შექმნა, რასაკვირველია, გვიწოდებს და ყველასთვის მისაღებია. თანამედროვე ჩინელებისათ-

მოკლედ

ერევანი. რუსეთის პრემიერ-მინისტრის მიხეილ კასიანოვის ერევანში ვიზიტისას სომხეთის პრემიერ-მინისტრ ანდრანუკ მარქარიანთან ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად სომხეთის მთავრობის, დავალიანების სანაცვლოდ, ხუთი საწარმოს აქციითა საკონტროლო პაკეტს გადასცემს.

რუსეთი თავის მფალეებთან პირველად იყენებს სქემას - "ქონება ვალეის სანაცვლოდ". რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, თუ ეს გარიგება წარმატებული გამოდგება, მაშინ ანალოგიური მოვლეს სხვა ქვეყნებთანც გამოიყენებენ.

93.76 მილიონ დოლარიანი დავალიანების სანაცვლოდ, სომხეთმა რუსეთის რაზდანის თოვლექტროსადგური, საწარმო "მარსი" და სამი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადასცა. 2003 წლის მაისისათვის აქციები საბოლოოდ რუსეთის ქონების სამინისტროს ხელში გადავა.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის ხელისუფლებამ რუსეთს აქციები იმ პირობით გადასცა, რომ ახალი მეპატრონეები ინვესტირებას განახორციელებენ. რუსეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე სერგეი კოლოტუხინმა "ინვესტირებასთან" საუბრისას განაცხადა, რომ ვალეის გადახდის ამგვარი მოვლედ, შესაძლოა, ყირგიზეთსა და რუსეთის ყველა დანარჩენ მფალეს შესთავაზონ, რომლებსაც ვალის გადახდის ტრადიციული საშუალება - ნაღდი ფული არ განაჩნიათ. კოლოტუხინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ტიპის აქციების გამოყენებას, მთავარია, რუსეთის ბიზნეს-წრეებს დებიტორ (მფალე) ქვეყნებში საკუთარი ინტერესი ჰქონდეთ.

მიხეილ კასიანოვი თავის სომხე კოლეგას აღუთქვა, რომ უახლოეს მომავალში იმ კომპანიებს დასახელებს, რომლებიც რუსული მხრისათვის გადაცემულ საწარმოებთან თანამშრომლობენ. კასიანოვმა რუსეთისათვის გადაცემული საწარმოების პრივატიზაციის შესაძლებლობაც არ გამოიჩინა. ანდრანუკ მარქარიანის თქმით, იგი პრივატიზაციის წინააღმდეგე არ იქნება. "მთავარია, საწარმოები ამუშავდეს", - აღნიშნა სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ახლა რუსეთის ძირითად თავდაცვით რეგიონში მდებარე საკონტროლო მოედანზე რუსეთის ელექტროენერჯის გასაღება წარმოადგენს. ამჟამად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით რაზდანის თოვლექტროსადგურის მესხეთ ენერჯობლიკის მშენებლობა მიმდინარეობს, რაც მის სიმძლავრეს კიდევ უფრო გაზრდის. სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები სომხური ელექტროენერჯის პოტენციურ ბაზრად თურქეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და ირანს ასახელებენ. თუმცა, რეგიონში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებისა და ტექნიკური პრობლემების გათვალისწინებით, ეს ნაკლებ რეალურია.

ნანსი. პარიზი-ვენის რეისზე მატარებელში გაჩენილი ამბარის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა. საავიაციო "როიტერის" ცნობით, მატარებელს ხანძარი საფრანგეთის ქალაქ ნანსთან ახლოს გაურჩა.

სამშველო სამსახურების წარმომადგენელთა თქმით, მგზავრები კვამლით გაიფლანკნენ.

დაახლოებით, 10 მგზავრს დამწვრობა აქვს მიღებული და უახლოეს საავადმყოფოებში არიან გადაყვანილები.

მატარებელში 150 მგზავრზე მეტი იმყოფებოდა. მიმდინარეობს ხანძრის გამომწვევი მიზეზების გამოძიება.

ენერჯეტიკის მინისტრს სერიოზული პრობლემები ელის

დღეს პარლამენტი ენერჯეტიკის მინისტრს გამომწვევ მიზეზებს მოისმენს

პირველი პარლამენტი ანგარიშებიანი ქველმოქმედებანი "ელექტროგადამცემში"

კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილი კორუპციული ენერჯეტიკის ერთ-ერთმა მთავარმა მოქმედმა პირმა, "ელექტროგადამცემის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა გურამ ჯავახიძემ დროულად გააანწიო პარლამენტის რისხვას და თანამდებობა ჯერ კიდევ სამი თვის წინ დატოვა. მოუხედავად ამისა, მას მაინც მოუწევს იმის ახსნა, თუ სად წავიდა გენერალური გრძელვადიანი კრედიტი მიღებული 30 მილიონ 200 ათასი მარკა და 5 მილიონ 500 ათას დოლარიანი ინვესტიცია, რომელიც "ელექტროგადამცემის" ობიექტების აღდგენა-განახლებას უნდა მოხმარებულიყო. მოუხედავად ამ თანხების გახარჯვისა, "ელექტროგადამცემი" ისევ უშეძინავს ფინანსურ კრიზისს განიცდის და აუცილებელი სამუშაოების ჩატარება კვლავ გვიანდება.

"ადგილი აქვს სახსრების უყიაროოდ ხარჯვის ფაქტებს. ელექტროგადამცემის" ხელმძღვანელობა არაუცილებელ და გაუმართლებელ ხარჯვებს ეწევა, – დაასკვნა კონტროლის პალატამ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში. მოუხედავად ამისა, დასკვნას რეაგირება არ მოჰყოლია. "ელექტროგადამცემი" კვლავ ინახავს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტორიზაციას, იხდის სამინისტროს სატელეფონო ხარჯებს და, გარდა ამისა, სამინისტროს თანამშრომელთა ნაწილსაც უხდის ხელფასებს. ის დამატებით ხელშეკრულებებს უფორმებს საკუთარ თანამშრომლებს (მაგალითად, საკუთარი იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილეს), ათუღუნ ათასებს ხარჯავს ფუნქციისა და საქმის გარეშე დარჩენილი სამსახურების შენახვაში, 45,6 ათას ლარად ყიდულობს სრულიად არასაჭირო მიწის ნაკვეთს და, რაც მთავარია, ვაკეში, "თბილქალაქპროექტის" შენობაში რატომღაც ოფისს ქირაობს. ეს მაშინ, როცა მის საკუთარ შენობაში რამდენიმე სხვა ორგანიზაციას განლაგებული, რომლებიც "ელექტროგადამცემს" ქირასაც კი არ უხდის. ამასობაში ორგანიზაციის დიდი სახელფასო დავალიანება თანამშრომელთა პერიოდული გაფიცვების საბაზა ხდება.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი "ელექტროგადამცემის" საქმიანობაში: პერიოდულად ეს ორგანიზაცია სხვადასხვა სახის კვების პროდუქტებს ყიდულობს და "უფასოდ" ურიცხვებს თანამშრომლებს. ყოველ შემთხვევაში, საბუთებში ასეა გაფორმებული. **"არ არის ცუდი იმედი, რომ კვების პროდუქტები ფასდაკლებით(!) მოაქვთ ჩვენთან?"** – უკითხა "ელექტროგადამცემის" თანამშრომლებს... დაგვეთანხმებით, რომ "უფასოდ" გაფორმებული საკონტროლო "ფასდაკლებები" გაყიდვის შემდეგ, ჯობიერ ჩასადებად ცუდი ფული არ უნდა რჩებოდეს, მით უმეტეს, თუ "უფასოდ" დასარბილებლი პროდუქტის ღირებულება 500 ათას ლარს აჭარბებს.

ცალკე თემაა "ორთაჭალაქის" იჯარით გაცემის ხელშეკრულება, რომელიც კონკურსის გარეშე, ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებულად გაფორმდა. 24 მგვაგატი სიმძლავრის "ორთაჭალაქის" იჯარისათვის მოიჯარე ყოველწლიურად სულ 16 ათას ლარს იხდის.

რაც შეეხება მომკვლევური (ან მოძველებულად გაფორმებული) აგრეგატების "ჩამორბევა" გათვითრებული ფულს, მარტო ტამისკარის ქვესადგურის ჩამორბევის ეს თანხა 160 ათას ლარამდე ავიდა.

"ძალად მაცხოვნ" ელექტროგადამცემი ხაზის ისტორია

სინამდვილეში ამ 220-კილოვოლტიან ელექტროგადამცემს ხაზს "ამოცკი-ნინონმინდის" ჰქვია და სომხეთს ნინონმინდის რაიონთან აკავშირებს. საქმე ისაა, რომ ეს ხაზი საქართველო-სომხეთის დაბაკავშირებელი იმ ელექტროგადამცემი ხაზის ნაცვლად აშენდა, რომელსაც სომხური "არმენერგო" საშურთან უნდა დაეკავშირებინა. წესითა და საქართველო-სომხეთის ენერგეტიკის მინისტრების შეთანხმების თანახმად, ეს ხაზი ორი ქვეყნის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ხაზი უნდა ყოფილიყო. თუმცა, ამ შეთანხმებით ისარგებლა "არმენერგომ" და სისტემათაშორის ხაზის ნაცვლად, დავით მირცხულავას უშუალო ხელშეწყობით, შეზღუდული გამტარუნარიანობის, ვინაობა რაიონული დანიშნულებისა და საქართველოს ენერჯეტიკის სისტემისთვის სრულიად არასაჭირო ჩიხური ხაზი ააგო.

ჯერ კიდევ მის აშენებამდე, "ამოცკი-ნინონმინდის" ხაზის მშენებლობას კატეგორიული მონინაღმდეგეები ჰყავდა თავად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროშიც. წინააღმდეგობას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოტივით გააჩნდა და არცთუ უსაფუძვლოდ. **"სამინისტროში არსებობს უარყოფითი მოსაზრებები და დოკუმენტები ამ ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით,"** – წერია ცნობაში, რომლის საფუძველზეც გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ჯერ კიდევ სექტემბერში მინაწილა პრეზიდენტს ინფორმაცია "ამოცკი-ნინონმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას, მინისტრის პირველი მოადგილის ნუგზარ უფლისაძევილისა და სხვა თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებების შესახებ."

მოუხედავად ერთპიროვნული უარყოფითი დამოკიდებულებისა მშენებლობის მიმართ, "ამოცკი-ნინონმინდის" ხაზის მშენებლობის ნებართვა "არმენერგომ" პირადად მირცხულავასგან მიიღო. მირცხულავამ გასცა ამ ხაზის ჩართვის ნებართვა. მირცხულავამ 2000 წლის 31 ივლისს პრეზიდენტი შევარდნაძეც შეიყვანა შეცდომაში. მის მიერ პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ **"ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი სამთავრობო-შორისო დეკლარაციისა და ენერგეტიკის მინისტრების შეთანხმების საფუძველზე მიღებულ იქნა სისტემათაშორისი მინშენებლობის ახალი 220-ან 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა"** (ამონაწილის სტილი დაცულია). "ამოცკი-ნინონმინდის" ხაზის შესახებ კი წერილში არაფერი იყო ნათქვამი.

შემდგომი მოვლენები ასე ვითარდება: პრეზიდენტი რეზოლუციას ადებს ხაზის მშენებლობის რეზოლუციის თანახმად, ეს საკითხი უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს. თუმცა, მოგვიანებით, უშიშროების საბჭოზე განხილვის გარეშე, მირცხულავა ხაზის მშენებლობის შემსწავლელ ჯგუფს ქმნის. ჯგუფის დასკვნა არ განსხვავდება წინასწარი დასკვნებისაგან: ხაზი არ უნდა აშენდეს.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან იგნორირებულ იქნა ეს დასკვნაც. **"გვევლინება, უზრუნველყო ქვესადგურ "ნინონმინდის" სომხეთის ქსელზე მისაერთებლად საქართველო-საზღვრის საზღვრის საფარველში"** – ურჩიან მან 2000 წლის 30 ნოემბერს "ელექტროგადამცემს".

"არმენერგომ" ქართული მხარისთვის ხაზის აშენების დადასტურებული დოკუმენტაციის გადმოცემაც კი არ ცნო საჭიროდ, რის გამოც დღემდე დაუდგენელია მისი საბაზისი აღდგენის ვარიანტები. შესაძლებელი დოკუმენტაციის არარსებობის გამო, ხაზი ვერც ქონების მართვის სამინისტრომ აიყვანა სახელმწიფო ბალანსზე. ამის გამო, დღემდე დაუდგენელია ხაზის რეალური მებატროვე.

შედეგად, სომხების მიერ აშენებული ხაზის საშუალებით, ნინონმინდისა და ახალქალაქის რაიონების ელექტროკვება სომხეთის ენერჯეტიკის მინისტრის მიერ სრულიად უკონტროლოდ ხორციელდებოდა. ამის გამო ნინონმინდის ელექტროგამანაწილებელ კომპანია "ელექტროსვეტზე", ოთხმოცდასაუთი ათასი კი – ახალქალაქის ელექტროგამანაწილებელ კომპანიაზე მოედის. აქ დათვლილი არ არის ის ზარალი, რაც თავად ენერჯეტიკის მინისტრმა, მარტო ბიუჯეტის ზარალიც კმარა იმ 300 ათასი ლარის შესაძენის დასაფარად, რითიც ამ ზამთარს "ეი-ი-ეს მტკვარს" მეცხრე ენერჯეტიკისთვის საჭირო გაზი უნდა შეეძინა.

ვის ემსახურება "საქრუსენერგო"

თავის დროზე, როცა მთავრობაში საქართველო-რუსეთის ერთობლივი ენერჯეტიკის შექმნაზე ალაპარაკდნენ, საუბარი მხოლოდ ორი ქვეყნის – საქართველოსა და რუსეთის ენერჯეტიკების პარალელურ რეჟიმში მუშაობას შეეხებოდა. მაშინ რუსეთის ენერჯეტიკის მინისტრის ენერჯეტიკის აუცილებლობა საქართველოს ენერჯეტიკის გახშირებელი ავარიებით აიხსნა,

რაც მცირე მოცულობის სისტემის არამდგრადობით იყო გამოწვეული. საქართველო-რუსეთის ენერჯეტიკის პარალელურ რეჟიმში ამუშავებით კი "საქრუსენერგო" მოსალოდნელი ავარიების აღბათობის შემცირებას გეგმავდა.

ერთობლივი სანარმოს შექმნას "საქრუსენერგოს" მომავალი დამფუძნებლები – საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო და რუსეთის გაერთიანებული ენერჯეტიკის "PAO EEC POCCHN" თანაბარი ნილობრივი მონაწილეობით – 50/50-ზე გეგმავდნენ. რუსეთის მხრიდან "საქრუსენერგოსთვის" "ინგური-ცენტრალნაიასა" (ეს 102 კილომეტრის სიგრძის ხაზი, საიდანაც 26 კილომეტრი კოდორის ხეობაში გადის, ენერჯეტიკის კონსტრუქციისა და, შესაბამისად, რუსეთის ენერჯეტიკისთვის აკავშირებს) და 220-კილოვოლტიან "ადლერი-ზუიფის" ელექტროხაზების გადაცემა იყო გათვალისწინებული. თუმცა, ამ უკანასკნელის საწინააღმდეგო კაპიტალში შეტანა რუსეთმა "აფხაზეთში სიტუაციის მოგვარებაზე" გადადო. სამაგიეროდ, საქართველოს კუთვნილი ქონების საპრონუნდ, რუსეთს "საქრუსენერგოს" საწინააღმდეგო კაპიტალში იმ სარემონტო სამუშაოების ღირებულება უნდა ჩაედო, რომელთა ჩატარებაც "კავკასიონის" გასამართად და სამუშაო მდგომარეობამდე მისაყვანად იყო საჭირო. საბოლოოდ, ქართული მხრიდან "საქრუსენერგოს" საწინააღმდეგო კაპიტალში მთელი საქართველოს მაკონტრაქტული ქსელები "აღმოჩნდა".

უზენაესი, უკვე ხელმოწერილი შეთანხმების გადახვედა აღარავის შეუქარია. უბრალოდ, გაიზარდა იმ სარემონტო-აღდგენით სამუშაოების მოცულობა, რითაც რუსეთის მხარეს საქართველოს მხრიდან საწინააღმდეგო კაპიტალში შეტანილი 188 მილიონ 273 ათას რუსული აქრუკული დოლარის ღირებულების ქონების დაბალანსება მოუწევდა.

საწინააღმდეგო კაპიტალი რუსეთის მხრიდან დღემდე შეუცხვებელია. მეტიც, როგორც ირკვევა, "საქრუსენერგომ" რუსეთის მხრიდან საწინააღმდეგო კაპიტალის შევსების ნაცვლად, შეამცირა საკუთარი ფულადი საბრუნავი სახსრები და ხელყოფიერად გაითარესა ფინანსური მდგომარეობა. საქმე არც რუსეთის მხარისთვის წილის ჩამორთმევაზე აღძრულია.

ამ დროს კი რუსეთიდან ელექტროენერჯეტიკის იმპორტისა და საქართველოს გავლით ტრანზიტის "საქრუსენერგო" ანარქოებს. შესაბამისად, რუსეთის ვალების დაგროვებაც მის მიერ ხდება. **"PAO EEC POCCHN"** კუთვნილი ვალების საწინააღმდეგო კაპიტალში გაქვითვას მოითხოვს. ვალის ძირითად ნაწილს კი იმ ელექტროენერჯეტიკის საფასურს ნარმოადგენს, რომელიც ომის პერიოდში აფხაზეთსა და სამაჩაბლოს მიენდობოდა.

"რუსეთის მხარის წინადადება გახიზნა და, მით უმეტეს, მისი რეალიზაცია დაუშვებლად მიგაჩნია, რადგან 1991-95 წლებში რუსეთიდან ყოველგვარი შეთანხმებისა და დოკუმენტების გარეშე ელექტროენერგია მიენდობოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონებს. ამ პერიოდში რუსეთის მიერ მიწოდებულადა მინერული 29,2 მილიონი დოლარის ელექტროენერგია. 1995 წელს გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე კი მიწოდებულადა ფიქსირდება 7,1 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგია, თუმცა მინოდების დამატებითი ვერ იქნა. ამრიგად, 46,4 მილიონი დოლარიდან 29,2 მილიონი დოლარის გადახდის არანაირი საფუძველი არ არსებობს, ხოლო 7,1 მილიონი დოლარის დავალიანებაზე მხოლოდ ხელშეკრულება წარმოდგენილი, რომლის ფაქტობრივი შესრულება დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. ნინონმინდისა, რომელსაც ელექტროენერგია მიწოდებას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ადგილი ჰქონდა საომარი მოქმედებების პერიოდში და ეს ელექტროენერგია მონინაღმდეგე მხარისათვის სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენდა," – ნათქვამია კონტროლის პალატის მიერ "საქრუსენერგოს" სამუშაო-ეკონომიკური საქმიანობის კომპლექსური სარევიზიო კომისიის დასკვნაში.

გარდა ამისა, "საქრუსენერგოს" სხვა მრავალი დარღვევაც აღმოჩნდა. მოგების ხელგონური შემცირების, რეალური შემოსავლების დაბალისა და სხვა მაქინაციების ხარჯზე, მის მიერ ბიუჯეტისთვის დამალული თანხებმა 30 ათას ლარს გადააჭარბა. სხვათა შორის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კომფორტზე მზრუნველთა ნუსხაში "საქრუსენერგოც" აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, ის სამინისტროს დასწრე ავირკვა, ის სამინისტროს დასწრე ავტომანქანითაც "ემსახურებოდა".



დავით მირცხულავა

ენერჯეტიკის კაბალური ხელშეკრულებების გაფორმების ტრადიცია გრძელდება

"იქმნება შთაბეჭდილება, რომ დარგში არ არსებობს ეკონომიკური მონიტორინგი ანდა ყველაფერი ემთხვევა – ქვეყნის ენერჯეტიკის ხელგონური დასაწერვად," – ასკენის კონტროლის პალატა ვარციხის შესვლის კასკადის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შემდეგ.

საქმე ისაა, რომ ვარციხის შესვლის კასკადი ქვეყნის უნიშვნელოვანესი ენერჯეტიკის კომპლექსია იყო - ჰიდროენერჯის გამოიმუშავების, ამ დროს კი მისი რვა ჰიდროაგრეგაციიდან ერთი აგრეგატი დაზიანებულია, დანარჩენი შვიდი ტექნიკური პირობების დარღვევით, ავარიულ რეჟიმში მუშაობს. შედეგად, 2 წლისა და სამი თვის განმავლობაში უქმად დაიღვარა 7849 მილიონი უზური მეტრი წყალი და ქვეყანას 287,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დააკლდა. ამის გამო კასკადმა 3,6 მილიონი ლარის პირობითი შემოსავალი დაკარგა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კასკადზე გამოიმუშავებული ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია 1,25 თეთრი ლარს, რუსეთიდან კი ფირმა "ვინდვილი" დენს 2,2 ცენტად ყიდულობს. საკუთარი გამოიმუშავების შემთხვევაში, ქვეყანა ცამეტ მილიონ ლარზე მეტს დაზოგავდა და, ბუნებრივად, დიდ ტვირთად არ დახვედებოდა ის ორი მილიონი ლარი, რაც ვარციხის ჰიდროაგრეგაციის შეკეთება და დაუფლებოდა. შედეგად, ვარციხის შესვლის კასკადის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო,

ქვეყანა 11-12 მილიონი ლარით ზარალობს, თავად კასკადი კი – 2 მილიონი ლარით.

ელექტროენერგეტიკაში კაბალური ხელშეკრულებების გაფორმება, როგორც ჩანს, ღრმა ფესვების მქონე ტრადიციად არის ქცეული. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტრადიციას ერთგულად იცავს ვარციხის შესვლის კასკადის ბერძნული "ტენასათის" გადაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებაც. ეს ხელშეკრულება კასკადზე გამოიმუშავებული ელექტროენერჯის 84 პროცენტზე მეტის თურქეთში ექსპორტს ითვალისწინებს.

მოუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულება ქვეყნის ინტერესებს წინააღმდეგობას, მისი გადახვედა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს აზრადაც არ მოსვლია. არადა, ექსპორტის შედეგად ქვეყანას ყოველწლიურად 550-600 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დააკლდება, რომლის შევსებაც, არსებული ენერჯეტიკის პირობებში, შეუძლებელია.

სხვათა შორის, ამავე ხელშეკრულების მიხედვით, ვარციხის შესვლის კასკადის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია, ნაწილობრივ, არ იბეგრება. ეს კი კანონს ეწინააღმდეგება.

სხვადასხვა კაბალური ხელშეკრულებების შესწავლამ ცხადყო, რომ ვარციხის შესვლის კასკადის ხელმძღვანელობა, ცალკეულ ფირმებთან გარკვევების საშუალებით, ელექტროსადგურის ქონებას ანიავებს, მის კუთვნილ თანხებს კი გაურკვეველი მიზეზებით აქეთ-იქით განუკითხავად არიგებს. დაუსაბუთებელი და უშიშრო ხარჯების, რეატივების გარეშე დარჩენილი ქარაღობებისა და უზურადღებობით გამოწვეული ზარალის ოდენობა სად-

გურზე ასტრონომიულ ციფრებს აღწევს, კასკადის ჰიდროაგრეგაციები კი დღემდე გაურთმონტებელი რჩება. სხვადასხვა ბუღალტრული მაქინაციების გამოკვლევის შედეგად გამოვლენილ დარღვევათა შორის უმცირესი 106 ათასი ლარის დამალვის ფაქტია. გამოიმუშავებული და გადაცემული ელექტროენერჯის ალუ-რიცხავობის გამო კი სადგურს საბითუმო ბაზრის მრიცხველებთან მარკინების ასტრონომიული ციფრები მიიღება აქვს.

და ბოლოს...

დღეს ირაკლი ჩუბინიშვილი ელექტროენერჯის არსებული ტარიფის შემცირების საკითხსაც ნამოჭრის. **"ტარიფის კორმირების შედეგში არის ეკონომიის საშუალებები, რისი გთვალისწინებოდაც 3-4 თვის ეკონომიის გამოწვევის საშუალება არსებობს,"** – მიიჩნევს ის.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გარდა, დღეს ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ძველი და "კარგად დაიწყებული" საქმეების გახსენებასაც აპირებს. სხვათა შორის, ამ "ძველის" მალე დაიწყების მიზედით, ბევრი ჩინოვნიტი უნდა დასაჯდეს სახელმწიფო საქმის და ხელისუფლებიდან შორს – კერძო სექტორის ჩრდილში შეიყუფა. უცრად გამდიდრებული კერძო ფორმებისა და დახვეწილი კორუპციული სქემების უკან კი გაკლდნა სახელისუფლებო პირები კვლავინდებურად მყარად დგანან. დგანან, მაგრამ არ ჩანან. კორუფციის ძაფები ხომ სახელისუფლებო ვერტკალის ქვედა საფეხურებზე იღებს სათავეს და მის ზედა ემლონებში იყრის თავს...

საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

"კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების დეპარტამენტი და მინდის მილვა-ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა"

მსოფლიო ბანკის კრედიტი ნომერი 3156-GE

კონტრაქტი ნომერი GICMP-NCB-01

საქართველომ მთავრობამ მიიღო მსოფლიო ბანკის (საერთაშორისო განვითარების ასოციაციის) კრედიტი "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" დასაფინანსებლად და აპირებს გამოიყენოს სახსრების ნაწილი "კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების გამიჯვნისა და მინდის მილვა-ჩაბარების პროცედურების უზრუნველსაყოფად" (კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერია GICMP-NCB-01). სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი) ინვესტ დალუქულ საკონსტრუქციულ ნინადადებებს შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- საველე გეოდეზიური სამუშაოები და დიგიტალური ორთოფოტომოზაიკის შექმნა;
- კოლხეთის ეროვნული პარკის (კ.ე.პ.) საზღვრების დაზუსტება;
- არსებული საკონსტრუქციო ბაზის შესწავლა კ.ე.პ.-თან მიმართებაში;
- კ.ე.პ.-ის საზღვრების გამიჯვნა და მილვა-ჩაბარების პროცედურების უზრუნველყოფა;
- კ.ე.პ.-ის საზღვრის მარკირება და სამიჯნე ნიშნების დასმა;
- ორტოფოტომის საფუძველზე 1,5,000 დიგიტალური ვექტორული რუკების შექმნა;
- კ.ე.პ.-ის ტერიტორია შექმნილი პროდუქციისა და ინსტრუმენტების გამოყენებაში.

შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს კოლხეთის დაბლობს, კერძოდ კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიას და დაბლობის მიმდებარე ზონას (სულ 750 აეროფოტოსურათი).

თენდერი ჩატარდება ეროვნული კონკურსის წესით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით: შესყიდვები IBRD-ის სესხითა და IDA-ს კრედიტით, იანვარი 1995 წელი (შესწორებული გამოცემები: 1996 წლის იანვარი და აგვისტო, 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციისათვის და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად შეუძლით მიმართონ ს.ზ.ი.მ. ცენტრს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. დაინტერესებულ კონკურსანტებს წერილობითი განაცხადის საფუძველზე შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი, ქართულ ენაზე. დოკუმენტი მინოდებული იქნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2002 წლის 6 დეკემბრის 18 საათისა, როდესაც გამართება წინადადების გახსნა. ტენდერში მონაწილეებს შეუძლიათ დაესწრონ გახსნის პროცედურას.

ს.ზ.ი.მ. ცენტრი, მამუკა გვილაია (დირექტორი); მე-2 სართული, ფალიაშვილის 87, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 (32) 25-20-50; მობილური: +995 (99) 54-66-16; ფაქსი: +995 (99) 54-66-51
ელექტრონული ფოსტა: PHASIS@ICZM.org.ge; ინტერნეტი: www.ICZM.org

დღის მოვლენა

პიტერ შოუ მევლად ქიქიაშვილის ჭბუფმა გაიტაცა

ამბობენ, რომ ამ ჭბუფის ორგანიზებულია სხვა გახმაურებული გატაცებებიც



პიტერ შოუ



ვალერი ხაბურძანიძე და ირაკლი ალასანიძე

გატაცებიდან 141 დღის შემდეგ, „აგრობიზნესბანკის“ ინგლისელი დირექტორი პიტერ შოუ, გუშინ გვიან ღამით, 12-ის ნახევარზე ძალიან გაძლიერებულმა კორტეჟმა თბილისში ჩამოიყვანა.

- ყველაფერი კარგადაა, კარგად... მთელი ეს ხანგრძლივი პერიოდი აქეთ-იქით მატარებდნენ, თვალდასხვეულმა ორმოში გაატარე, ახლა ძალიან მტვრიანი, ჭუჭყიანი და დალილი ვარ... ძალიან დიდი მადლობა ქართველ სამართალდამცველებს, დიდი მადლობა ყველას, ყველაფერი კარგადაა, კარგად, – განაცხადა აგროპორტის ტრასაზე ყურნალობისთვის შესახებ დედამისი ნუთით მანქანიდან გამოსულმა პიტერ შოუმ და მის განმთავისუფლებელ უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას მადლიერების ნიშნად გადაეხვია კიდევ.

ინგლისელი ბანკირის გათავისუფლების ოპერაცია უშიშროების სამინისტროსა და შსს-ს სპეცგუგუებმა ჩაატარეს. „ჩეკისტებსა“ და კრიმინალებს შორის შტაკებაც მოხდა. გარდაიცვალა გამტაცებელთა ჯგუფის ერთი წევრი - ის, ვის სახლშიც იყო დატყვევებული მძევალი. სამართალდამცველები პიტერ შოუს გამტაცებელთა შესახებ ჯერჯერობით არ საუბრობენ. არსებული ინფორმაციით, ინგლისელი ბანკირის გატაცების და ესპანელი ბიზნესმენების მძევლად აყვანის ისტორიები ხელნერით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ძალიანათა სპეცგუგუები გუშინ პანკისის ხეობაში დარჩნენ და გაქცეულ გამტაცებელთა ჯგუფს დაედევნენ.

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანიძე, რომლის უწყებამაც სპეცოპერაცია დაგეგმა და განახორციელა, თავისი უწყების მუშაობის შედეგით კმაყოფილია.

- ბატონო ვალერი, გავრცელებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტრო ძალიან დიდხანს მუშაობდა შოუს გათავისუფლების ოპერაციაზე...

- სამწუხაროდ, დეტალებს ვერ გავცხნით, რადგან ესაა საიდუმლო ოპერაციის მნიშვნელოვანი ნიუანსები და დაკავშირებული იმ ხალხის უსაფრთხოებასთან, ვინც ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. არ არის საუბარი მხოლოდ უშიშროების თანამშრომლებზე. ოპერაციაში სხვადასხვა კატეგორიის ხალხი მონაწილეობდა.

- ცნობილია, რომ ერთხელ ჩაგეშალა პიტერ შოუს გათავისუფლების ოპერაცია...

- ერთს გეტყვით - ნინასწარ არც დღევანდელი შედეგი ყოფილა გათვლილი. ოპერაციის დაწყებამდე თათბირი გეკონდა გენერალურ პროკურორთან და უნდა დაგვეყო კონკრეტულ ეჭვმიტანილთა დაპატიმრებები, მაგრამ მოულოდნელად ოპერაცია შედგა და შედეგიანად დასრულდა. დეტალებზე ახლა ვერ გესაუბრებით, რადგან ასეთ შემთხვევაში უნდა გაგიმთავროთ ყველაფერი.

- თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ არ იცოდით, თუ პიტერ შოუს

გათავისუფლებას შეძლებდით?

- არა, ასეთი ოპერაციის პროგნოზირება ძნელია. სხვათა შორის, პიტერ შოუმ ოპერაციის მსვლელობისას ძალიან იაქტიურა, იმდენად, რომ შეგვეშინდა, ოპერაცია კონტროლიდან არ გამოსულიყო.

- თუ არის ცნობილი გამტაცებელთა ვინაობა?

- ცნობილია დალუპულის ვინაობა, ის პანკისის ხეობელი მერაბ მეტეხიძეა, ტაქსის მძღოლი, ყოფილი პოლიციელი, დანარჩენების შესახებაც გვაქვს სერიოზული ინფორმაცია.

- არსებული ინფორმაციით, გამტაცებელთა შორის ჩენებიც იყვნენ.

- ეს იყო შერეული ჯგუფი. ჩენი ეტაპ-ეტაპ მივდიოდით მათკენ, მიეყვებოდით მათ ნაკვალევს მცხეთაში, ბორჯომში, გორში - გატაცებულს დაატარებდნენ აქეთ-იქით. ბოლოს პანკისის ხეობაში ჩაიყვანეს და ვუბნებოდნენ, აზერბაიჯანში ხარო.

- მართალია, რომ პიტერ შოუს გატაცებაში ძმები ახმადოვებიც იყვნენ ჩარეულები?

- გამტაცებლებზე გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, მაგრამ დეტალებს ნუ გამამთვინებთ.

- რა ინფორმაციას ფლობთ გატაცებულ მამა ბასილზე?

- ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ მის გათავისუფლებაზე.

- და ისიც პანკისის ხეობაშია?

- კი და მასაც მალე გაათავისუფლებთ.

პიტერ შოუს გათავისუფლების ოპერაციის ხელმძღვანელი, უშიშროების მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანიძე ორიოდ სიტყვაზე ძლიერ დაეითანხმეთ.

- ოპერაცია თავიდან ბოლომდე პროვოცირებული იყო. პროვოცირებული იყო გადაადგილებაც. ძალიან დიდხანს ვმუშაობდით მარშრუტის დადგენაზე. ჩვენი ჯგუფი ხეობაში ახლაც მუშაობს და გამტაცებელთა დაკავება აუცილებლად მოხერხდება. ჩვენ ძალიან სერიოზულ პრობლემებთან მოგვის დაგვამკლავებდა და ამიტომაც მოვლენებს არ გავუხსნებ. ცნობილია გამტაცებელთა ვინაობა, ისინი სერიოზული კრიმინალები არიან, – ასეთი იყო ირაკლი ალასანიძის კომენტარი.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, პიტერ შოუს გატაცებას პანკისისხეობელი ქისტი მევლად (იგივე შოთა) ჭიჭიაშვილი მეთაურობდა. ჭიჭიაშვილი პანკისის ხეობაში უზარმაზარი გავლენით სარგებლობს. დედამისი ჩეჩენია და იგი ჩეჩენთა იზრმელაა, რამაც განაპირობა მისი ახლო კავშირი ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურებთანაც.

ქართველი სამართალდამცველები დიდი გავლენის მქონე კრიმინალურ ავტორიტეტს 1997 წლიდან ეძებენ. სწორედ მან შექმნა პანკისის ხეობაში ერთ-ერთი პირველი სერიოზული ბანდითური დაჯგუფება, რომელმაც, გარდა პიტერ შოუსი, სხვა არაერთი ცნობილი ადამიანის გატაცებაც მოახწო.

პირა ნაზარიძის სკიპი



ქართული კულტურის სკიპიანი შემოდგომა

სულ უფრო მეტი სევა ეპარება ჩვენს ცხოვრებას. განსაკუთრებით, საღამოს, გვიანი შემოდგომის თბილი და მზიანი დღის ბოლოს, როდესაც შუქის ჩაქრობით ნელ-ნელა გვეპარებენ შემზარავი თბილისური ზამთრის პერსპექტივას...

ერთ ასეთ ჩვეულებრივ საღამოს მაგონებს შემოდგომის მინურლის თბილისური ცხოვრება (იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ თბილისის მიღმა ესეც სახატრელი აქვთ): სასონარკვეთამდე სევდიანი არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ყოფით. მანამდე ამ ყოფას მეტ ილუზიას მატებდა სხვადასხვა ფესტივალები თუ კულტურული ღონისძიებები.

ჩვენი სამომდგომო კულტურული ცხოვრება, ჯახის საერთაშორისო ფესტივალს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად, ჩრდილოელი მეზობლების ხელისშეწყობით შემოიფარგლა. ამასთან ერთად, აქტიურად აღაპარაკდნენ, ფესტივალებისთვის სახელმწიფომ გარკვეული თანხა უნდა გაიღოს და მანვე უხელმძღვანელოსო; ასე რომ, ისინიც თუ კულტურის სამინისტროს ჩააბარეს დასავგებამდ, დარწმუნებული ვარ, წლებანდელი თეატრალური ფესტივალიც სახატრელი გავციხდება.

სევა კიდევ უფრო გაამძაფრა ილიარმონის ფასადზე ჯორჯ ბენსონის დროზე ადრე ჩამოსხნილმა აფიშამ. ილუზიების მსხვერვას ყოველთვის მოყვება სევა. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. გვეგონა ამაში (ამ შემთხვევაში მოუბიზნეს ვეგლისნიმბი) მაინც შეგვეძლო დამოუკიდებლად მოქმედება; აქ მაინც ვერ ჩაეროდნენ "დესტრუქციული" ძალები, მაგრამ პოლიტიკა არც ისე მორს აღმოჩნდა კულტურისა და მოუბიზნესისაგან, ჩვენი როგორც გვეგონა. ჩვენი რეალობის დამახასიათებელი კიდევ ერთი უცხაურობა - ბენსონის კონცერტის ჩამლასთან დაკავშირებით, საქართველოში ზოგიერთებს სიტყვა "დივერსია" სიტუაციის გადაჭარბებულ, გაზვიადებულ ფორმულირებად ეჩვენათ მაშინ, როდესაც რუსეთის ოფიციალურ პირებსაც არ გაუპროტესტებიათ ასეთი შეფასება და შედეგად, დღეს ბენსონის საქართველოში ჩამოუსვლელობის საკითხს, ოფიციალური პირები რუსეთ-საქართველოს უშიშროების საბჭოებში განიხილავენ. საინტერესოდ მეჩვენება ისიც, რომ ასეთ ფონზე მოსკოვში პრეზიდენტმა პუტინმა საბატონო ხელოვნებაში შეტანილი ნეკლიისთვის მარინის თეატრის პრემია-ბალეტის, ირმა ნიორაძეს რუსეთის ფედერაციის დამსახურებული არტისტის ნოდება მიანიჭა. ალბათ არც ის იქნება გონიერებას მოკლებული ვიფიქროთ, რომ სიტუაციის შესარბილებლად თავად პუტინმა გარკვეული ნაბიჯი გადადგა. ასე რომ, იმისთვის, რაც ბენსონთან დაკავშირებით გადაგვხდა, "დივერსიის" კვალიფიკაცია გაზვიადებული ნამდვილად არ არის. გაზვიადებული ჩვენივე ილუზიები თუ მოჭარბებული ყალბი გრძნობები და შესტები. მაგალითად ისეთი, როგორც იყო "სანკტ-პეტერბურგის დღეები" პანკისის დაბომბვის მოლოდინში და ამ ფესტივალზე ცრემლებამდე გულსამაჩუყებელი სენტიმენტალურ სიტყვებამ დაღვრილი გრძნობები. არ მესმის, პოლიტიკურ-ეკონომიკური დივერსიის ფონზე, რა საჭიროა სრულიად არადეკორატიული ქმედებები და თუკი მაინც სჭირდებათ ეს ყველაფერი ხელოვნებას, მაშინ ლოკალურად, სინდისის ქეჩენისა თუ საკუთარი ხელისუფლების მოქმედებების საპროტესტოდ, რატომ არ მიმართავენ არასდროს მსგავს ნაბიჯებს თუ შესტებს იგივე ხელოვნები ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან? რატომ არ უმართავენ ქართულ კულტურას სახეიმო დღეებს, მითუმეტეს, რომ ამ კულტურამ მათაც უსახსოვრა რამდენიმე ადამიანი, ვინც წლების განმავლობაში დღემდე იქ, რუსეთში მოღვაწეობს?

არც ამაში და არც ბენსონის ჩამოუსვლელობაში არა არის ერის ტრაგედია. უფრო მტკივნეული ისაა, რომ მათ, ვისაც დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებელ-არქიტექტორობაზე აქვს პრეტენზია, ვერ შექმნეს ერთიანი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც უფრო იოლი იქნებოდა ცალკეული სფეროების მართვა. ძნელია ეროვნული კულტურის პოლიტიკა დაარქვა იმას, რაც ოფიციალური კულტურის მოღვაწეთა სახელით კეთდება.

არ ვიცი, რა შეცვლის საზოგადოების ნეგატიურ, პესიმისტურ დამოკიდებულებას კულტურის სამინისტროს ორგანიზებული ღონისძიებების მიმართ. ნუთუ არ შეიძლება ოფიციალური კულტურული ღონისძიებებიც ოდნავ მაინც საინტერესო იყოს? გუშინწინ, თეატრალურ სარდაფში, ვიდრე კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები ახალგაზრდა სცენარისტებს დაავალდებულდნენ, სამინისტროს ნოლირი ანგარიში ისე უხალისოდ, თითქოს, ნაძალადევად წავიკეთებეს, ჩამონარგალის სიმწირეზე რომ აღარაფერი ვთქვათ... - ამაზე მეტი ვერ უნდა ვაკეთოს სამინისტრომ საკუთარი კულტურის განვითარებისთვის?! ან კიდევ, შეიძლება ასე იოლად ხელიდან აცლიდნენ ქართულ კულტურას ერთადერთ სახელმწიფო დარბაზს, რომელიც მართლა ერთადერთია მსოფლიო დონის ვარსკვლავის მისაღებად? მაგრამ აქ მხოლოდ კანცელარიის "ჩინოვნიკებში" არაა პრობლემა - ფილარმონიის გაყიდვა ხომ თავად ქართული კულტურის მოღვაწეებმა გადაწყვიტეს, მათ ვისაც ქართულ კულტურაში განუვლი ღვაწლისთვის ვარსკვლავიც გაუხსნეს იგივე ფილარმონიის წინ. ძნელია, ამ ყველაფერზე სევდიანად არ ისაუბროს...

კალენდარი

7 ნოემბერი

"ვერასოდეს იქნებო ბედნიერი, თუ დაიწყებთ ძიებას, რას გულისხმობს ბედნიერება. ვერასოდეს შეძლებთ ცხოვრებას, თუ სიკიცხლის საზრისს ჩაუღრმავებთი."



ალბერ კამიუ (1913-1960) ალბერ კამიუს ცხოვრების გზა ბევრი გამოცდით იყო სავსე - თვითონვე ამბობდა, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ექსპერიმენტების მემეგობით ვერ მიიღებ, ყველაფერი შენს თავზე უნდა გამოსცადო. ახალგაზრდობის წლები ჩრდილოეთ აფრიკაში გაატარა, ბევრი ხელობა სცადა: მუშაობდა ამინდის ბუროში, ავტომობილების ფორმაში, გემთმშენებელ კომპანიაში... ასე შოულობდა ფულს, ალჟირის უნივერსიტეტის კურსი რომ დაემთავრებინა. მერე ფურნალისტიკაში სცადა ბედი. მისმა სტატიაში, რომელიც მკითხველს კაბილის რეგიონის მუსულმანური ქვეყნის უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ მოუთხრობდა, ალჟირის მთავრობა იძულებული გახადა გარკვეული ზომები მიეღო. კამიუც ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის შემდეგ ეს ყურადღება კამიუს პიროვნების მიმართ აღარ განელეებულა: "უცნობი", "შავი ჭრი", "შემოდგომა", "სამეფო", ფილოსოფიური ესეები - "სიზღვის მითი" და "აჯანყება" - მკითხველი აღფრთოვანებით შეხვდა მის ნაწარმოებებს. 1957 წელს ალბერ კამიუს ნობელის პრემია მიანიჭეს. "ჩვენი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვეძინოთ საკუთარ პიროვნებას. ჩვენს თავს პოლომდე ალბათ ვერასოდეს შევიცნობთ, თუ ეს მოხდა, ისაა დაგვრენია, სიკიცხლეს გამოვებისოვით." - წერს ერთგან მწერალი. კამიუს კიდევ უამრავი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ალბერ კამიუ 1913 წლის 7 ნოემბერს დაიბადა.

„თაბჯი“, „სარდაფში“

თანამედროვე ქართულ დრამატურგიის გამოცოცხლება დაეცყო

პოლიტიკურად დაძაბულმა შემოდგომამ ხელოვნებაც გააპოლიტიკოსა. ყოველ შემთხვევაში, დღეს თითოეული მათგანი თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ შემოქმედებაში ბოლო დროის მოვლენებთან დაკავშირებით პოზიცია გამოხატოს. ეს მოდა არ არის, ეს ბუნებრივია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თავისუფალ არჩევანს ამჯობინებენ - 5 ნოემბერს "თეატრალურ სარდაფში" კომედია ითამაშეს. წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა დრამატურგის ნინო ბასილიას პიესა "თავჯი". სპექტაკლი "ი-მედია პოლდინგმა" დააფინანსა.

თორნა ჯაფარიძე

"პოლიტიკა იმდენად ცვალებადია, რომ დავივალეთ. ამიტომ ანგარიში აღარაფერს არ გავუწიეთ და პირდაპირ კომედია დავედგით", - განაცხადა რეჟისორმა ლევან ნულაძემ.

რატომ გაჩნდა "თავჯი" "სარდაფში"? - ცხადია პიესაზე გვექვს საუბარი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მოცემული დრამატურგია თავისი სიმსუბუქით "თეატრალური სარდაფის" ესთეტიკას შეესაბამება. მეორეც, დრამატურგმა მოახერხა, პროვინციალიზმისა და ინტელიგენტობის თანაარსებობის სურათი შეექმნა და ეს ყველაფერი კომიკური რაკურსიდან ეჩვენებინა. გარდა ამისა, პიესის მოქმედი სიუჟეტი - ახირებული იდეით შეპყრობილი მეცნიერის სურელი, გააცოცხლოს მეკადრი თავჯი, რეჟისორულად დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ამას ემატება დიდი დონით იუმორი და იმის შეგრძობა, რომ ეს ყველაფერი ჩვენთან, თბილისში ხდება, მაგრამ ყველგან შეიძლება მოხდეს. პიესაში მინიმუმებით თეატრალური თბილისზეც არის საუბარი. მაგალითად, საექტაკლე მოსულმა რეალურმა მსყურებელმა ბევრი იცინა, როცა სპექტაკლში მსახიობებმა მოდას აყოლილი, "ყველაზე, ყველაზე პრო-

ვოკაციულ თეატრში" მისული, თავზე ცელოფანგაფარებული მსყურებელი განასახიერეს.

როგორი უნდა იყოს თეატრალური დასი, რომ სპექტაკლს ანშლავი და "ბრაუო" არ აკედეს - ქვეყანაზე აქტიური ვერ უნდა ჯობინდეს ვერც ტრაგედიაში, ვერც კომედიაში, ვერც ისტორიულ წარმოდგენაში, ვერც იდეალიაში, ვერც იდეალურ-კომიკურში, ვერც ისტორიულ-იდეალურში, ვერც ტრაგიკულ-კომიკურ ისტორიულ-იდეალურში". "ჰამლეტიდან" მოტანილი პოლიონოსის ეს მონოლოგი ზუსტი ფორმულირებაა მოქმედი თეატრალური დასისა, რომელიც რეჟისორის მიერ სწრაფად გამომცხვარ სპექტაკლებს, შეთავაზებულ ჟანრსა თუ როლს ასევე სწრაფად და პროფესიონალურად პასუხობს. ეს "თეატრალური სარდაფის" ხელნაწი. სპექტაკლში დაკვეებული ოთხი მსახიობი: ზაზა გოგუაძე (ბათუმის თეატრიდან), ნანკა კალატოზიშვილი, მკაა შალვაშვილი და ონისე ონიანი, სწორედ, ასეთი მოქმედი ანსამბლს ქმნიან.

ფაქტია, "თეატრალური სარდაფის" სწრაფ ტემპსა და ხშირ-ხშირ პრემიერებს თავისი მსყურებელი ჰყავს. 5 ნოემბერს გამართულმა პრემიერამაც ტამოს გრიალითა და "ბრაუოს" თანხლებით ჩაიარა. "სარდაფის" რეპერტუარს ახალი ქართული პიესა - "თავჯი" შეემატა.



სპექტაკლის პლაკატი

წინასიტყვაობის გარეშე დარჩენილი ქრებული

"კავკასიის სახლში" რუსუდან კაიშაურის ნიგნის პრეზენტაცია გაიმართა

თამარ მარკანიძე

გუშინ "კავკასიურ სახლში" რუსუდან კაიშაურის ლექსების პირველი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. ამ ნიგნის წინასიტყვაობის დაწერა თავიდან "კავკასიური სახლის" დირექტორს, ნაირა გელაშვილს ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნა, ნიგნში ნაირა გელაშვილისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი შევიდა და ქალბატონ ნაირას წინასიტყვაობის ნამძღვრება ცოტა ეუხერხულა კიდევ. ასე რომ, კრებული საბოლოოდ წინასიტყვაობის გარეშე დარჩა. მას წინ მხოლოდ ავტორისეული მინანქარი უძღვის, რომელსაც ჰქვია "გასეირნება ჩემში" და რომელსაც თავად პოეტი სრულ ბიოგრაფიას უწოდებს, თან ამბობს: "არ მაქვს ბიოგრაფია, რადგან ასეთი ვიყავი მუდამ - ჩუმი..."



შოთა იათაშვილი. რუსუდან კაიშაური და ნაირა გელაშვილი

რუსუდან კაიშაურის პოეზია კარგა ხნის განმავლობაში გახტო "ალტერნატივასა" და ჟურნალ "აფრაში" იბეჭდებოდა. ახლა კი მისმა ლექსებმა მოძვრო კრებულში მოიყარეს თავი. "რუსუდან კაიშაურის შემოქმედებას პირველად "ალტერნატივაში" გავეცანო, - აღნიშნა კრიტიკოსმა გია ბენიძემ, - შთაბეჭდილება ზომიერად დადებითი იყო." რეცენზია ამ ნიგნზე გია ბენიძემ გაზეთ "24 საათში" გამოაქვეყნა, მისი აზრით, პოეტის ლექსები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: თანამედროვე და ტრადიციული, თუმცა კრიტიკოსი ფიქრობს, რომ მისი ტრადიციული ლექსები პოეტურად ბევრად უფრო ძლიერია და ტრადიციული სალექსო ფორმა უფრო მეტად შეესაბამება პოეტის შინაგან

სამყაროს (გია ბენიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას "კავკასიურ სახლში" შეკრებილი საზოგადოების დიდი ნაწილი არ დაეთანხმა და ამას კამათიც მოჰყვა).

"რუსუდან კაიშაური წერს იმაზე, რითიც ცხოვრობს, - საკუთარი შთაბეჭდილება გაუზიარა დარბაზში შეკრებილთ მთარგმნელმა გიორგი ლომუხინძემ, - მისი პოეზია ცხოვრებიდან

ნაა ამოზრდილი, მაგრამ ეს არ არის ყოფითი პოეზია, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოფითი დეტალები შემოიღეს. ამ შემთხვევაში ჩემთვის ლექსების ფორმაზე მეტად მათი ესთეტიკაა საყურადღებო. უნდა ითქვას ისიც, რომ აქ საინტერესოა ასახულია დღესდღეობით ძალიან მოდური გენდერული პრობლემები..."

რუსუდან კაიშაურის პოეზიის გა-

მორჩეული თვისება ისაა, რომ პოეტს შეუძლია ყველაზე პროზაული დეტალები პოეტურად აქციოს; მის პოეზიაში ბევრი სიმარტობა, - აღნიშნეს გამომსვლელებმა, რომლებმაც პოეტთან ერთად კრებულში გამოქვეყნებული ლექსები ნაიკითხეს და ამ ლექსების განხილვაც არ დაიზარეს. დანარჩენს მკითხველი თავად შეაფასებს.

პარიასციები საუკეთესო უცხოურ ფილმება

ამერიკული კინო-აკადემია საერთაშორისო ყურადღების ცენტრში ამჯერად უცხოური ფილმების წყალობით მოექცა. ამ დღეებში სხვადასხვა ქვეყნის კინოინდუსტრიებმა საუკეთესო უცხოური მხატვრული ფილმის ნომინაციაზე საკუთარი კანდიდატურები წარადგინეს. სექსი, ნარკოტიკები, მკვლელობა და სიყვარული - აი, ის თემები, რაც საერთაშორისო კინემატოგრაფის წლებანდელ რჩეულ ფილმებში გვევთება.


2002 წელს "ოსკარი" საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში ბოსნიურმა ფილმმა "არავის მიწაში" გაიმარჯვა. ეს ამ ქვეყნის პირველი "ოსკარი" აღმოჩნდა. წლებანდელ კანდიდატურებს შორის კი გახლავთ შვედი რეჟისორის, ლუკას მულისონის ფილმი "ლილია სამუდამოდ" (სამ მილიონ დოლარიათი ბიუჯეტით). ფილმი, თითქმის, რუსულ ენაზეა გადაღებული და

სექს-ტრეფიკინგის თემაზეა აგებული. ფილმის მთავარი გმირი, საბჭოთა კავშირიდან შვედეთში გაქცეული პატარა გოგონა ლილია სწორედ ამ გზას დაადგება.

ბრაზილიელებმა კი "ოსკარზე" ფერნანდო მერიელის Cidade de Deus (ღმერთის ქალაქი) წარადგინეს. ფილმი ქვეყანაში საოცარი წარმატებით სარგებლობს. მთელი ათი წლის მანძილზე ამხელა შემოსავალი არც ერთ ბრაზილიურ ფილმს არ ჰქონია. "ღმერთის ქალაქმა" სახელი პრემიერაზე მომხდარი ერთი უცხაური ინციდენტის გამოც გაითქვა. ერთ-ერთ კინო-თეატრში ფილმის პრეზენტაციაზე ნარკო-ბარონი პაულ სერჯიო მანიოც მივიდა და პოლიციამ მისი დაპატიმრება პირდაპირ სალაროსთან გამართულ რიგში მოახერხა. მერიელის ნამუშევარი მიაღწია ბიუჯეტით. ფილმი, თითქმის, რუსულ ლინგის ნახევრად ავტობიოგრაფიულ ნიგნს ეფუძნება და მოე-

ვითხრობს ორი ბიჭის ისტორიას, რომლებიც რიოს ღარი უბანში იზრდებიან, შემდეგ კი ერთი ფოტოგრაფი ხდება, მეორე - ნარკო-დილერი... ინდოეთის რჩეული ფილმი, "დევდასი" ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარიც გამოდგა - ინდოეთის კინემატოგრაფში 500 მილიონ რუპიის ბიუჯეტი არც ერთ ფილმს არ ჰქონია. "დევდასი" 1917 შექმნილი ინდურ რომანს ეფუძნება.

პოლინეთმა "ოსკარზე" პოიტრ ტრეზნაკალსკის "ედი" შეარჩია, ჩინეთმა - "გმირი", ტაილანდმა კი ფილმი მომღერალზე, რომელიც დიდების მოსაპოვებლად ყველაფერ დაანარჩენს იცინყებს.



მარხანდელი ოსკარის მფლობელი

ამერიკული კინო-აკადემია ამ ნამუშევრებიდან შერჩეულ საუკეთესო ხუთოთს 11 თებერვალს გაეთვალენ. 23 მარტს, "ოსკარის" ცერემონიაზე კი, საუკეთესო უცხოური ფილმს სწორედ ამ სიდან აირჩევენ.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. **პლანა უფასოა.**

საკონსულტაციო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაეცნოს მხოლოდ იმ არა მონათლულ-ბას შუამთხვევებს "ხალხის პირისპირ". თქვენი შეჩვენების შედეგად, მას საკონსულტაციო გაცემის კომპლექსური ან ანკეტის შედეგით თქვენს თანხმებით შუამთხვევებს "ხალხის პირისპირ" წესებს და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორისა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონსულტაციები ტელევიზორისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვირები

მისამართი:

შვილები: (თუ ბავშვი)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონეტარო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საგვარო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მითითეთ კატეგორია, რომელიც კარგად ირკვევთ, შეგიძლიათ უიქორითი მემორიატი გააუქმოთ, სურვილით კლასი "არსებულ" ან ცვლით დახმარება, ან 60-იანი წლების შესას, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ ბავშვი)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისხარის თუ არა, პირდაპირ, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და რა დროს?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიყვართ საერთაშორისო ბარათი და სპ?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საქონარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორი თქვენი საყვარელი მხარეა და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიხანი, რომლის მიღწევაც მოცდებოდა?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

გივიწყებიათ ან გაგიკვირებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყოფო?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელი თქვენი საყვარელი ფილმებია?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მითხარე? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, რომელი და რა ადგილით?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტატიის გათქვევით "შინაური ცხოველები" შეარქვას, ან ასაინტერესოთ მარაგობაში ფოსტის მიწოდება?)


ყველაზე უხარხარე სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენით თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საგვარო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცინ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?





ვირველი მოგზაურობები აღმოსავლეთში

გვიანდელ შუა საუკუნეებში მეცნიერული თვალსაწიერი არა მარტო სიღრმეში, არამედ "სიგანეშიც" იზრდებოდა, სწორედ მაშინ, XIII-XIV საუკუნეებში განახლდა დიდი აზრეშუშის გზა, ამიტომაც ევროპელთა ძირითადი ინტერესი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული.

მანამდე ბუნების შესახებ წარმოდგენები სხვადასხვა ენციკლოპედიური ხასიათის წიგნში იყო მოცემული. ამ ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნიმუშია ეგრეთ წოდებული "ბესტიარიუმები" — წამდვილ და მითოლოგიურ ცხოველთა აღწერილობები. ყოველ აღწერას აუცილებლად ახლ-



სირინოზი - ნახატი ბესტიარიუმებიდან

და რაიმე მორალი. ასე, მითოლოგიური ფრინველი ფენიქსი ქრისტეს სიმბოლოდ იყო აღიარებული, რადგანაც ლეგენდის თანახმად ხუთას წელიწადში ერთხელ (ცეცხლში იწვიდა და მერე ისევ ცოცხლდებოდა. სრულიად რეალური ფრინველი, ვარსკი (პელიკანი) კი თავგანწირვის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, რადგანაც შუა საუკუნეებში ეგონათ, რომ იგი საკუთარი გულმკერდით კვებავს შვილებს. სინამდვილეში ვარსკის ნისკარტს ქვეშ მოთავსებულ დიდ ტომარაში მოაქვს ნაშვებებისათვის თევზი.

მაგრამ XIII საუკუნიდან ადამიანები ნელ-ნელა იწყებენ სივრცის დაპყრობას და ჰორიზონტი უკვე აღარ წარმოადგენს მათთვის მსოფლმხედველობის ბუნებრივ ზღუდეს. ამ დროს თვითმხილველთა მონობები წინ უსწრებს და ხშირად არ ეთანხმება ენციკლოპედიისტი მწერლების ავტორიტეტულ თვალსაზრისებს. თუ ადრე აღმოსავლეთის შესახებ ევროპელი მხოლოდ სწავლული ეპისკოპოსის, ისიდორ სევილიელის ნაწერებიდან იგებდა, ახლა უკვე მომრავლდა მოგზაურთა პირადი ჩანაწერები და მოგონებები, რომლებიც გაცილებით სასწრაფო და საინტერესო იყო.

მეორე მხრივ, XIII საუკუნე მონღოლთა შემოსევების ხანაა. ასე რომ, აღმოსავლეთის შესახებ ეკლნამ უკვე საშხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა.

რომის კათოლიკური ეკლესია ახალმა მისწრაფებამ მოიცვა — მონღოლთა ქრისტიანობაზე მოქცევის შესაძლებლობამ. ამისათვის სამკაციანი მისია მომზადდა, რომლის სათავეში დააყენეს 64 წლის **პლანი კარპინი**, ფრანცისკელთა ორდენის ერთ-ერთი დამაარსებელი. მოგზაურობამ ორ წელზე მეტ ხანს გასტანა (1245 - 1247), მისიწერებმა გაიარეს საფრანგეთი, პოლონეთი, შემდეგ გაუყვენენ დნებრს, დონს და ბათო ყაენის სამყოფელამდე მი-აღწეს. საბოლოოდ, კარპინი და მისმა თანაგზავრებმა მონღოლეთისკენ განაგრძეს გზა, საიდანაც პაპისადმი საპასუხო წერილი წამოიღეს. 1247 წელს კარპინიმ პაპს მონღოლურ, არაბულ და სპარსულ ენებზე დანერვილი პასუხი ჩამოუტანა. ამის გარდა მსცენარმა მისიწერმა წარადგინა თავისი მოგზაურობის დანერვილებითი ანგარიში, ვრცელი წიგნი სათაურით "ისტო-



მარკო პოლო წიგნაგვს კენძულზე

რიული ჩანაწერები". მოგვიანებით ამ ნაშრომს "მონღოლთა ისტორია" დაერქვა. ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა უცხო იყო იმ დროისათვის მოგზაურის ჩანაწერების ყანრი. უშუალო დაკვირვებას ჯერაც უნდა მოეყოლებინა ადგილი მზის ქვეშ, უფრო ზუსტად კი, ეს ადგლი მატაინისთვის წაერთმია.

კარპინის შემდეგ, 1249 წელს მონღოლეთში საფრანგეთის მეფის, **წმ. ლუდვიკოს** ელჩი, ფრანცისკელი **ანდრე ლონკუმი** გაემგზავრა. სამი წლის შემდეგ კი იგივე მეფე მონღოლეთში კიდევ უფრო მრავალრიცხოვან მისიას აგზავნის ფლამანდელი **ველდ რაინსბრუკის** ხელმძღვანელობით.

რუბრაჟის მოგზაურობა

რაინსბრუკის სახელი უფრო ცნობილია ფრანგულ ვარიანტში — **გიომ რუბრუკი**. მისიწერთა მეთაურს მონღოლთა ქრისტიანობაზე გადასვლის გარდა კიდევ ერთი შესაძლებლობა უნდა გამოეკვლია : რამდენად შესაძლებელი იყო მათთან სამხედრო კავშირი სარკინოზთა წინააღმდეგ.

ორი თვე დასჭირდა რუბრუკს, სანამ ყირიმში განლაგებულ ბათო ყაენის ბანაკში მიაღწევდა. რუბრუკმა კიდევ ორი თვე მონღოლთა იმპერიის დედაქალაქში, ყარაყორუმში დატყუ და მისი აღწერა შეადგინა.

1256 წელს რუბრუკი ევროპაში დაბრუნდა. მისი ნაწარმოები "მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში" შეიცავს უამრავ ახალ გეოგრაფიულ ცნობას, მონღოლეთისა და სხვა ქვეყნების ბუნების ფერადოვან აღწერებს. ციმბირში რუბრუკი ეძებდა იმ ადამიანებს და ცხოველებს, რომელთა შესახებ ძველ ენციკლოპედიებში წაეკითხა. "მე ვიკითხე იმ სასწაულებრივი ადამიანების შესახებ, რომლებზედაც მოგვითხრობდა ისიდორე, მაგრამ თათრები მპასუხობდნენ, რომ ამის მსგავსი არასოდეს არავინ ენახათ". რუბრუკის თხზულებას შუასაუკუნეობრივი გეოგრაფიის შედევრს უწოდებენ. როჯერ ბეკონის დიდ ტრაქტატში რუბრუკის წიგნიდან მრავალი ვრცელი ციტატა შევიდა. XX საუკუნის ცნობილმა რუსმა პოეტმა, ნიკოლაი ზაბლოცკიმ პოემაც კი დაწერა — "რუბრუკი მონღოლეთში".



მარკო პოლო ყაენის წინაშე

ბუნებისმეტყველების ბარიერაუზი

XII საუკუნის ევროპელი პოეტისა და ლეთისმეტყველის, **ალან ლილელის** ლექსი გვაშცნობს, რომ "მთელი ბუნება ღვთის მიერ დაწერილი წიგნია". ერთნახევარი საუკუნის შემდეგ **დანტე ალიგიერი** თავისი ავტობიოგრაფიული რომანის, "ახალი ცხოვრების" დასაწყისში ასევე წიგნს ადარებს საკუთარ მეხსიერებას. გარემო სინამდვილის შეცნობის გაიგივება ტექსტის ნაკითხვასა და განმარტებასთან ძალიან გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. ინფორმაციის წერილობითი წყარო ცოდნის მიღების ძირითადი საშუალება იყო. ფილოლოგია გაცილებით უფრო ძველია ექსპერიმენტულ ფიზიკაზე, ბიოლოგიასა და ქიმიკაზე. უშუალო დაკვირვების აღიარებასა და წერილობით ავტორიტეტის დაძლევას საუკუნეები დასჭირდა. ეს პროცესი, ალბათ, XI საუკუნეში დაიწყო, როცა ევროპაში დემოგრაფიული აფეთქება მოხდა. გამრავლებული მოსახლეობის სულიერ დამოძღვრას ვერ აუდიოდა ეკლესიის ძველი სტრუქტურა. ამის შედეგად გამრავლდნენ მოხეტიალე მქადაგებლები, წერა-კითხვის უცოდინარი წინასწარმეტყველები და სულიერი ლიდერები. ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი და განსჯა იმაზე, რასაც ადრე სრულიად მორჩილად ურიგდებოდნენ. ამ დროიდან იწყება ეკლესიის წიაღში ორდენების, ხოლო ეკლესიის გარეთ — ერეტიკოსების გამრავლება. შეცვლელმა სიტუაციამ თვით ეკლესიას მოსთხოვა სულ სხვა მიმზადება, აზროვნების ახალ სიმაღლეზე აყვანა.

საბოლოოდ, ამ ახალ სიმაღლეზე აყვანილი აზროვნების კონტროლი უკვე შეუძლებელი გახდა ტრადიციული თეოლოგიის მხრიდან. ღვთისმეტყველებამ ნელ-ნელა ადგილი დაუთმო მეცნიერებას, ამ უკანასკნელმა კი დამოუკიდებელი არა მარტო ძალა, არამედ ღირებულება შეიძინა. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ყველაფერი არისტოტელეს არაბულიდან თარგმნით დაიწყო...

პირველი ნაბიჯები

უკვე XIII საუკუნის დასაწყისისთვის გამოჩნდა ევროპაში **არისტოტელეს** ლათინური თარგმანები, რომლებიც ნაწილობრივ არაბულიდან, ნაწილობრივ კი ბერძნულიდან შესრულდა. მანამდე არისტოტელეს ვრცელი კომენტარი დაწერეს ბალადის სახალიფოში **აბუ ალი იბნ სინამ**, ანუ ლათინიზებული ვარიანტში, **ავიცენამ**, ესპანეთში — **იბნ რუშდამ**, ანუ **ავეროესმა**.

XII საუკუნეში ბალადის სახალიფო დაიშალა და არაბული მეცნიერების ცენტრმა დასავლეთისკენ გადმოინაცვლა. აქ სწორედ იბნ რუშდი (1126 - 1198) შეიქნა არისტოტელეს ყველაზე მნიშვნელოვანი განმმარტებელი. იბნ რუშდი კორდოვაში დაიბადა ყადის, ანუ მუსლიმი მოსამართლის ოჯახში. მან საფუძვლიანად შეისწავლა ღვთისმეტყველება, არაბული ლიტერატურა, მედიცინა, მათემატიკა და ფილოსოფია. ქრისტიანულ ევროპაში, სადაც იბნ რუშდი ავეროესის სახელით იყო ცნობილი, მას "კომენტატორსაც" უწოდებდნენ, რადგანაც მის მრავალრიცხოვან თხზულებებში დიდი ნაწილი უკავია არისტოტელეს, **პტოლემეუსის**, **ალ-ფარაბის**, იბნ სინასა და სხვა მოაზროვნეთა ტექსტების კომენტარებს.

1210 წელს პარიზის უნივერსიტეტში აიკრძალა არისტოტელეს ნატურფილოსოფიის სწავლება. მაშინვე იქნა მიჩნეული ერეტიკულად იბნ რუშდის ფილოსოფიაც. ქრისტიანმა მეცნიერებმა გამოთქვეს აზრი, რომ არისტოტელეს შრომებს ორიგინალში უნდა გასცნობოდნენ, და არა არაბული კომენტარებიდან. მაშინ დაიწყო ესპანეთის ქალაქ ტოლედოში არისტოტელეს ლათინურ ენაზე თარგმნა.

ამ დიდი ნაშრომებიდან იღებს სათავეს ევროპული ნატურფილოსოფია, რომლის პირველი დიდი წარმომადგენლები ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი საეკლესიო ორდენის — ფრანცისკელთა (1208 წელი) და დომინიკელთა (1215 წელი) — წევრები იყვნენ.

წმიდა ფრანჩესკო ასიზელი (1182 - 1226)

წმ. ფრანჩესკო ასიზელის ნამდვილი სახელია **ჯოვანი ბერნარდინე**. იგი ცენტრალური იტალიის, უმბრიის ოლქის ქალაქ ასიზოში დაიბადა საკმაოდ მდიდარი ვაჭრის ოჯახში. მამამისი, **პიეტრო ბერნარდინე** ქსოვილებით ვაჭრობდა და ხშირად უზღებოდა საფრანგეთში ყოფნა. ამიტომაც დაარქვა თავის ერთადერთ ვაჟს მეტსახელად ფრანჩესკო, ლათინურად კი ფრანცისკუსი.

ამ ყმანვილმა, რომელიც თავიდანვე მშობლების ნებეიერი და ღალი ცხოვრების მოყვარული იყო, ხოლო



თომა აკვინელის ხელნაწერი

მერე მთელს მსოფლიოს ასკეტიზმისა და ზნეობრივი თავდაღების სწორუპოვარი მაგალითი უჭყენა, ახალი სუნთქვა შთაბერა დასავლეთის ქრისტიანობას და საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ყველაზე პოპულარული კათოლიკური წმინდანის სახელი. მისი ამბოხი საკუთარი მამის კმაყოფილი და პრავმატული ცხოვრების, ეპისკოპოსთა კორუფციის, საერო ხელისუფალთა ძალაღობის წინააღმდეგ გასცდა უმბრიის პრივიციის საზღვრებს და სულ რამდენიმე წელიწადში მთელს დასავლეთ საქრისტიანოს მოვიდა.

ქვემოთ მოყვანილია ფრანჩესკოს მიერ დაახლოებით 1225 წელს შეთხზული ერთი პოეტური ნაწარმოები, რომელიც არა მარტო იტალიური ლიტერატურის, არამედ ახალი ევროპული მსოფლმხედველობის სათავეებთან დგას და ახალი ეტაპის დასაწყისს აღნიშნავს:

ქმნილებათა საბალოვანი

1. უზუნავსო, ყოვლისთვისძველი სახიფო უფალო, შენია ქება, დიდება, პატივი და ყოველი კურთხევა;
2. ეს ყოველივე მხოლოდ შენ შეგფერის, უზუნავსო, და არვინ კაცი არ არის ღირსი შენი ხსენების;
3. კურთხეული იყავ, ჩემო უფალო, ყველა შენი ქმნილებითურთ, განსაკუთრებით კი გემადლიერებით ჩვენი ბატონი ძმა მზისათვის, რომელიც დაღისთ გვიანათებს შენს მიერ;
4. იგი ნათელია, სხივოსანი და ფრადე კაშკაშა, შენს მნიშვნელობას ატარებს, უფალო;
5. კურთხეული იყავ, ჩემო უფალო, დისთვის, მთვარისთვის და ვარსკვლავათათვის. ცისთვის შექმნი ისინი — ნათელი, ფასდაუდებელი და მშვენიერი;
6. კურთხეული იყავ, ჩემო უფალო, ძმისთვის, ქარისთვის, ჰაერისათვის, ღრუბლისათვის და ყოველგვარი ამინდისთვის, რომლითაც შენს ქმნილებებს ასულდგამებ;
7. კურთხეული იყავ, ჩემო უფალო, დისთვის, წყლისათვის, ასე მარგებელი რომ არის, მოკრძალებული, სანატრელი და უმანკო.



წმ. ფრანჩესკო ასიზელი

ტრადიციული ლიტურგიული ფორმის მიღმა ჩანს ადამიანის გარემოში მყოფ ხილულ რეალობათა ჩამონათვალი. ამგვარად ზღვრა ამ ყველასათვის ჩვეული და თითქოსდა შეუმჩნეველი საგნებისა და მოვლენების არა მარტო ესთეტკურ აღქმაში შეყვანა, არამედ მათი ერთგვარი საკრალიზაცია. ბუნების ჭკერები, მისი გარემოცვაში ყოფნა და მისი შეცნობა არა მარტო სასიამოვნო და სასარგებლოა, არამედ ღვთის მიერ კურთხეულია და მისთვის სათნო. ბუნების აღწერა ადრევეც იყო ცნობილი ევროპულ ლიტერატურაში, მაგალითად, ტრუბადურებთან, მაგრამ ყოველთვის დამხმარე ფუნქციას ასრულებდა. ფრანჩესკოსთან ბუნება (ბუნება როგორც ასეთი და არა მხოლოდ მისი გარეგანი სახე) პირველად გამოჩნდა როგორც ადამიანის ყურადღების მთავარი ობიექტი, ხოლო ადამიანი — როგორც ბუნების ცენ-



ალბერტი დიდი

ტრში მყოფი მისი ნაწილი და მასზე დამოკიდებული. ამ ტექსტის გარდა, საკმაოდ ცნობილია წმინდანის სიკვდილის შემდეგ შექმნილი მითბრებები ფრანჩესკოსა და მის ძმთა ცხოვრებიდან, ეგრეთ წოდებული "ყვავილები". ამ ტექსტებიდან ჩანს ფრანჩესკოს ურიერთობა გარემოში სინამდვილესთან: მისი მეგობრობა მგელთან, ქადაგება ფრინველების მიმართ და სხვა.

ფრანჩესკო ასიზელთან ერთად დასავლეთის სულიერებაში ახალი ეტაპი დაიწყო: ქრისტეს ენებათა თავყვანისცემა, მაცხოვრის წყლულთა ხილული და გრძნობიერი აღქმა. სარწმუნოებაში საეკლესიო ავტორიტეტის უქვედად ძალაუფლებას მორწმუნის პირადი, შეგრძნებათა საფუძველზე მიღებული გამოცდილება დაემატა. შეგრძნებათა საკრალური რეაბილიტაციის გარეშე კი შეუძლებელი იქნებოდა სამყაროს ცდისმიერი შეცნობის დასაწყისი.

ალბერტი დიდი (1206 - 1280)

ალბერტი შვაბიაში დაიბადა, გერმანიის სამხრეთით. ღვთისმეტყველთა იტალიაში მიიღო და დომინიკელთა ორდენში შევიდა. ამის შემდეგ მასწავლებლად იქნა გაგზავნილი კლენში, მერე კი პარიზში. აქ მისი ლექციები დიდი წარმატებით სარგებლობდა, აუდიტორიები ვერ იტევდა მათი მოსმენის მსურველებს. ამის გამო ლექციები გადაიტანეს პარიზის მიუედანზე, რომელიც დღემდე მის სახელია ატარებს — მობერის მოედანი ("მ" — მაგისტრი, "ობერი" — ალბერტის ფრანგული ვარიანტი). საბოლოოდ მას უნივერსალური დოქტორის ტიტული მიენიჭა და ზედწოდება ალბერტი დიდი.

დომინიკელი მოაზროვნის ღვაწლი, ძირითადად ორი მნიშვნელოვანი მიღწევით გამოიხატება: ჯერ ერთი, ალბერტი შექცადა არისტოტელეს ფილოსოფიისა და კათოლიკური დოგმების შერიგებას; მეორეც — მან ლოგიკა ორ ნაწილად დაყო, რომელთაგან ერთი, "გამოცხადების ლოგიკა" საღვთო წერილის გაგებას ემსახურებოდა, მეორე კი, "ბუნებრივი ლოგიკა", ხელს უწყობდა ბუნების შეცნობას.

იგი წერდა: "მე ვიცი, რომ დედამინაზე ყოველთვის იყო და იქნება დაბადება. და თუ ზეღა იგი ღვთის ნებით შეუნდებია, მე მიუფუგებ, რომ არაფერი შესაქმნება ღვთის ნებასთან, თუ ბუნებრივი ლოგიკით ვმჯავლობ". ეს დებულება, რომლის სახელსა და უჩვეულობას იმ დროისათვის დღეს გაუთვინციობრიველი მკითხველიც მიხვდება, მეორე მხრივ, სრულიად ეთანხმებოდა ბუნებაზე შუასაუკუნეობრივ წარმოდგენებს. მაგალითად, ისიდორე სევილიელი უწოდებდა "ემპირიოლოგიები" წერდა, რომ ბუნების (ნატურა) ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ მისი ძირითადი თვისება დაბადების უნარია.

თავის ტრაქტატში "ზეციისა და ქვეყნიერებისთვის" ალბერტი დიდი ამტკიცებს, რომ დედამინა სერგურული ფორმისაა, რადგანაც არისტოტელეს თანახმად იგი ქვეყნიერების ცენტრში უნდა იყოს მოთავსებული, ხოლო ყოველგვარი ნივთიერება სიმძიმის ძალით ამ ცენტრისკენ მიიწრაფვის და მის გარემოში სიმეტრიულად განლაგდება.

განსაკუთრებით საინტერესოა ალბერტის ტრაქტატი "ადგელთა ბუნებისათვის", რომელსაც ბევრი მკვლევარი შედარებითი გეოგრაფიის პირველ გადმოცემად მიიჩნევენ. საქმე ეხება მთების, ზღვებისა და ტყეების გაკვლენას ჰავაზე. დედამიანის განსახლებაზე მსჯელობისას ალბერტი უარყოფს ტრადიციულ თვალსაზრისს, თითქოს ეკვატორთან მდებარე ადგილები დაუსახლებელია. უფრო მეტიც, ავტორი ამტკიცებს, რომ ეკვატორის მიდამოებში ჰავა უფრო ზომიერი და სასიამოვნოა, ვიდრე ტროპიკულ სარტყლებში.

ალბერტის 26 ნაწარმოები მიჩნეულია პირველ ბიოლოგიურ ტრაქტატებად ევროპულ მეცნიერებაში. ამ ნიგნებში მრავლად იყო ალბერტის პირადი დაკვირვებები — განსაკუთრებით, გერმანიის ფლორასა და ფაუნაზე. მხოლოდ საუკუნეების შემდეგ მოვა ლირსული გაგრძელება ალბერტის ნაშრომმა ზოგად ბოტანიკაში, სადაც მცენარეები ანბანური რიგით იყო დალაგებული. ზოოლოგიურ ტრაქტატებში ალბერტი ხშირად აღწერს ქიშკობებს, პარპიებს, გრიფონებს, მაგრამ ზოგჯერ ამატებს: "ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მონაწამბია".

საინტერესოა ორი ლეგენდა ალბერტის შესახებ. ერთხელ ზამთარში დომინიკელმა სწავლულმა წარჩინებული სტუმრების მოწინაა და სუფრა მონასტრის ეზოში, პირდაპირ თოვლზე გააშლევინა. სტუმრებს გაუკვირდათ, მაგრამ როცა დასდნენ, ალბერტმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და თოვლი გაქრა, ჰაერში ზაფხულის



სიბოძმ დისადგურა, მონასტრის ეზოში ნაირფერი ყვავილები ვაიფურჩქნა, ხეების ტოტებზე კი მვალბელი ფრინველები ჩამოსხდნენ. როგორც კი სადილი დასრულდა, ეხო კვლავ თოვლით დაიფარა.

მეორე ლეგენდის თანახმად ალბერტმა ცხოვრების 30 წელი დაახარჯა ავტობატის შექმნას. მანქანას ქალის გარეგნობა ჰქონდა და მოძრაობა და აზროვნება შეედლო. ავტობატი ლითონისგან იყო დამზადებული და კიდევ ვარსკვლავების კარნახით ნაპოვნი რალაც იღვამლი ნივთიერებისაგან. ავტობატი უკვე მზად იყო, როცა ალბერტთან მონაფე მოვიდა, ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი თომა აკვინელი, რომელიც მოულოდნელად შეერჩხა მასწავლებლის ქმნილებას და დაამსხვრია იგი. მიუხედავად ამისა, ალბერტმა მაინც დაუტოვა თავის მონაფეს თავისი უმნიშვნელოვანესი აღქმიური ჩანაწერები, რომლებშიც ფილოსოფიური კვის საიდუმლო იყო გახსნილი.

თომა აკვინელი (1225 - 1274)

თომა ნეაპოლის მახლობლად მდებარე ქალაქ აკვინოს გრაფის ვაჟი იყო. ხუთი წლის ასაკიდან იგი მონტე-კასინოს ცნობილ მონასტერში იზრდებოდა, 13 წლიდან კი ნეაპოლის უნივერსიტეტში იღებდა განათლებას. სიყრმიდანვე სწავლას მონყურებული თომა დომინიკელთა ორდენში აღიკვეცა და ცოდნის გასაღრმავებლად ჯერ კელნს გაემგზავრა, მერე კი პარიზში ისმენდა ალბერტ დიდის ლექციებს.

თომას თავიდანვე მდუმარე ხასიათი აღმოაჩნდა, მარტობა უყვარდა და საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი. ალბერტს "ღვთაებრივ მოძღვარს" უწოდებდა და დიდი მონივნით ეყვრობოდა. თვით თომამ შემდგომში "ანგელოსური დოქტორის" წოდება დაიმსახურა და დღემდე კათოლიკური ეკლესიის უდიდეს საღვთისმეტყველო ავტორიტეტადაა მიჩნეული. როცა ალბერტმა პარიზი დატოვა, იგი კათედრაზე თომამ შეცვალა და მისი ლექციებიც უზარმაზარ აუდიტორიას იკრებდა.

თავის მოძღვრისაგან განსხვავებით თომას მკირდე ანტირესებდა ცოცხალი ბუნება. ალბათ ამიტომაც, რომ მისი ადრეული საბუნებისმეტყველო ტრაქტატი მინერალოგიას ეძღვნება. თომას მიარჩნდა, რომ ადამიანმა უნდა ისწავლოს განსხვავების დანახვა მის გარემომცველ ორ სფეროს შორის. ერთი მხრივ ეს "ბუნებრივი", გრძნობადი სამყაროა, რომელიც გონების მეშვეობით შეცნობას ექვემდებარება, მეორე კი — "ზებუნებრივი" რეალობაა, რომლის შეცნობა მხოლოდ საღვთო გამოცხადებითაა შესაძლებელი. თომას აზრით, ეს ორი სამყარო ერთმანეთს არ ენიწინააღმდეგება, მაგრამ მეკეთრადაა გამოჩენული ერთმანეთისგან. ბუნებრივსა და ზებუნებრივს შორის განსხვავება თომამ დეტალურად გადმოსცა თავის უმატარეს ნაწარმოებში "თეოლოგიის ჯამი", რომელშიც საბუნებისმეტყველო დისციპლინებს განსაზღვრული სტატუსი მიანიჭა და ამ სფეროში უმატარეს ავტორიტეტად არისტოტელე დასახელა.

ამ ვრცელ ტრაქტატში თომა ხშირად განმარტავს არისტოტელეს. მოყვანილია ორიგინალური ბერძნული ტექსტი, ლათინური თარგმანი და იბნ რუშდის კომენტარიც, რომელსაც ხშირად ავტორის ასეთი შენიშვნა ახლავს: "ეს არ ეთანხმება არც არისტოტელეს, არც ტემპარიტებს". მეორე მხრივ, თომა აკვინელის ნაწარმოებში დაწერილობითაა განხილული გონებისა და ინსტინქტის ურთიერთმიმართება. ამ მსჯელობებზე დაყრდნობით იქნა შეგნებული და სისტემაურად გააზრებული ადამიანისა და ცხოველს შორის განსხვავება. თუმცა თომა ურყავს ცხოველებში გონების არსებობას, მათ მიმართ ხშირად იყენებს განსაზღვრებას "გრძნობიერი" და ამტკიცებს, რომ ცხოველებს არა მარტო გრძნობიერი აღქმა ძალუთ, არამედ "გრძნობიერი შეცნობაც". პირუტყვივანგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანს აქვს "საღვთო შეგნების" ნიჭი.

აკვინელი ძალიან დიდი ტანისა და მსუქანი იყო. როდესაც გარდაიცვალა, ძალიან გაჭირდა მისი ცხედრის გადმოსვენება ზედა სართულიდან. ამბობენ, რომ მონასტრის სატრაპეზოში მისი მავიდა ოდნავ ამოჭრილი იყო, რათა ღვთისმეტყველის ღიბი დატეულიყო. რაც შეეხება თომა აკვინელის დამოკიდებულებას ადამიანებთან, ყვებიან, რომ ერთხელ ვილაცამ თქვა, აი, ძროხა მიფრინავსო. თომა დიდი ვაივალახით ნაწოდდა და ფანჯარასთან მივიდა. როცა ზურგსუკან სიცილი გაიგონა, შემობრუნდა და თქვა: "უფრო ადვილად დავიჯერებ, რომ ძროცები დაფრინავენ, ვიდრე ვიფიქრებ, რომ ჩემმა სულიერმა მშამ იცრუა".

როჭერ ბეკონი (1214 - 1292)

ფრანცისკელ მონესეს, როჯერ ბეკონს, ეგრეთ წოდებული "დიდი თხზულების" ავტორს ხშირად ისე-



დიურერის "მელანქოლია" - სიბრძნის ალევროელი სახე

ნიებენ გვიანი შუასაუკუნეების პირველ ბუნებისმეტყველად. მისი ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობები მოიპოვება: იგი ინგლისში დაიბადა, მამამისი რაინდთა წოდებას ეკუთვნოდა. როჯერმა განათლება ოქსფორდსა და პარიზში მიიღო, სადაც ფრანცისკელთა ორდენში შევიდა. პარიზიდან ბეკონი ოქსფორდში დაბრუნდა და იქ უნივერსიტეტში დაიწყო სწავლება. 1257 წელს მას ჯადოქრობასა და მაგიის ბოროტად გამოყენებაში დადეს ბრალი და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ პარიზში გააგზავნეს ათი წლით.

"დიდი თხზულება" შეიღი ნაწილისაგან შედგება: 1. რა მიზეზით არიან ადამიანები უმეცარნი. 2. ბერძნული ფილოსოფიის ძირითადი იდეები. 3. საჭიროა შევისწავლოთ ანტიკური ორიგინალები და არა მათი თარგმანები და კომენტარები. 4. მათემატიკის, ასტრონომიისა და გეოგრაფიის შესახებ. 5. სწავლება სინათლეზე, ოპტიკურ მოვლენებსა და თვალის აღნაგობაზე. 6. ცდა როჯერს ცოდნის საფუძველი. 7. მეცნიერების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ნიმანდობლივა ბეკონის აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ავტორიტეტზე დაყრდნობა ვერ იქნება ცოდნის საკმარისი საფუძველი. "რა თქმა უნდა, ძველებს თავყანი უნდა ვცეთ, მაღლიერებით უნდა განვიმსჭვავოთ მათ მიმართ, რადგინაც გზა გაგვიკაფეს, მაგრამ არ უნდა დავგავინყვდეს, რომ ისინიც, ჩვენს მსგავსად, ხშირად ცდებოდნენ. და რაც უფრო ძველები არიან, მით უფრო ხშირია მათი შეცდომები. აქედან გამომდინარე, უმცროსი თაობა სინამდვილეში ძველებზე უფროსი და უგანათლებულესია, რადგანაც წინაპართა მიერ მოპოვებულის მემკვიდრე".

ცდა ბეკონისათვის ჯერ-ჯერობით მხოლოდ შთაგონების განსაკუთრებული ფორმაა, სულის შინაგანი გახსივონება, რომელსაც მხოლოდ მცირერიცხოვანი რჩეულები გრძნობენ. ამ ექსტაზური მდგომარეობის შედეგად ადამიანი ხედავს იმას, რაც, ჩვეულებრივ, გრძნობის ორგანოთა აღქმის მიღმა რჩება.

როჯერ ბეკონს ეკუთვნის მეტად ნაყოფიერი იდეა მათემატიკის პირველობის შესახებ. მეცნიერების ამბობს,

რომ ბუნების მოვლენები ემორჩილება კანონებს, რომელთა მათემატიკური გამოსახვა მომავლის საქმეა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ დღემდე ვიყენებთ ისეთ გამოთქმებს, რომლებსაც ადამიანის რაინდთა წოდებას ეკუთვნოდა. როჯერმა განათლება ოქსფორდსა და პარიზში მიიღო, სადაც ფრანცისკელთა ორდენში შევიდა. პარიზიდან ბეკონი ოქსფორდში დაბრუნდა და იქ უნივერსიტეტში დაიწყო სწავლება. 1257 წელს მას ჯადოქრობასა და მაგიის ბოროტად გამოყენებაში დადეს ბრალი და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ პარიზში გააგზავნეს ათი წლით.

ამ მეცნიერის სახე იტალიელმა მწერალმა, უმბერტო ეკომ სხვა დიდ სწავლულმა, ულიამ უკამს შეუერთა და ასე იწვა რომანის, "ვარდის სახელოს" გმირი, ულიამ ბასკერვილი. ეს პერსონაჟი, რომელიც თავის თავში შერლოკ ჰოლმსსაც "შეიცავს", საკუთარ თავს როჯერ ბეკონის მონაფეს უწოდებს და ამბობს, რომ მოძღვრისაგან ისწავლა ბუნებაზე დაკვირვება.

მართლაც საოცარია ბეკონის ზოგი წინასწარმეტყველება, რომელსაც რომანის ფურცლებზე იხსენებს ულიამ ბასკერვილი: "შიქინცვადეს, რომ ისინიც, ჩვენს მსგავსად, ხშირად ცდებოდნენ. და რაც უფრო ძველები არიან, მით უფრო ხშირია მათი შეცდომები. აქედან გამომდინარე, უმცროსი თაობა სინამდვილეში ძველებზე უფროსი და უგანათლებულესია, რადგანაც წინაპართა მიერ მოპოვებულის მემკვიდრე".

ბეკონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოპტიკის შესწავლას, მან შეიმუშავა სინათლის არეკვლისა და გარდატეხის თეორიები, ფიზიკურად ახსნა მირაჟის მოვლენა, რომელიც მანამდე (და, რა თქმა უნდა, შემდეგაც) უკანასკნელ მიღწევას წარმოადგენდა.

ბუნებისმეტყველების შემდგომი განვითარება

XIII - XIV საუკუნეებს ხშირად თანამედროვე ბუნებისმეტყველების დაბადების ხანას უწოდებენ. ამ დროს, ჩვეულებრივ, გულისხმობენ ისეთ მოაზროვნეებს, როგორებიცაა **იორდანე ნემორარიუსი** († 1236), **ლეონარდო ფიბონაჩი** (1180 - 1240), **უან ბურიდანი** (1300 - 1358), **ნიკოლა ორემი** (1323 - 1382).

იორდანე ნემორარიუსმა, მექანიკის ღრმა მცოდნემ, ბერკეტის, წინასწრობისა და სხეულთა თავისუფალი ვარდნის თეორიულ ახსნას ჩაუყარა საფუძველი. გენიალურმა მათემატიკოსმა, ფიბონაჩიმ ალგებრულ ამოცანათა ამოსხნის ახალი მეთოდები შეიმუშავა, გარდა ამისა, დახვეწა ნილადებზე მოქმედებები და დაასაბუთა აღრიცხვის ინდური (დღეს არაბულად იწოდება) სისტემის უპირატესობა. იტალიელი მათემატიკოსი თავს ცნობილი მეცნიერის, **ჰერბერტის** (940 - 1003) მიმდევრად აღიარებდა. თვით ჰერბერტმა მეცნიერება არაბებისგან შეისწავლა, სანამ **სილვესტრ II-**დ წოდებულ რომის პაპად აირჩევდნენ. მათემატიკის მოყვარულები დღესაც კარგად იცნობენ ფიბონაჩის რიცხვებად წოდებულ მიმდევრობას, სადაც ყოველი მესამე რიცხვი წინა ორის ჯამია: 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21... ეს მიმდევრობა ბევრი მათემატიკური პრობლემის გადაწყვეტისას იჩნეს თავს.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, ფან ბურიდანი არისტოტელეს შესწავლის პროცესში ფიზიკის, მექანიკისა და ასტრონომიის საკითხებით დაინტერესდა. განსაკუთრებით ცნობილია მისი წვლილი ეგრეთ წოდებულ ბუნებრივ და ძალისმიერი მოძრაობის კვლევაში. არისტოტელეს მიხედვით, ზვეით ასროლილი ქვა პაერთან ურთიერთქმედების შედეგად მოძრაობს. XIII საუკუნეში ფრანცისკელმა უარყვეს ეს შეხედულება და გამოთქვს აზრი, რომ ზვეით მიმართული ძალა ქვას გარკვეულ შინაგან სწრაფვას (ლათინურად, "იმპეტუსს") ანიჭებს. "იმპეტუსი" თანამედროვე კინეტიკური ენერჯიის პროტოტიპია, რომელმაც მხოლოდ 300 წლის შემდეგ ჰმუვა მათემატიკური გამოხატულება. ბურიდანმა ეს თეორია კიდევ უფრო განავითარა და ახსნა ბზრიალის მოძრაობა, რომელსაც ვერ ხსნიდა არისტოტელეს მეთოდი. მნიშვნელოვანი მისი შრომები სტატისტიკის დარგშიცაა. განსაკუთრებით ცნობილია იგავი ბურიდანის ვირზე, რომელიც თივის ორი ზვისისაგან ტოლ მანძილზე დგას და ვერ გადაუნყვეტია, რომლისკენ წავიდეს. ამ მხატვრულ სახეს იყენებენ დღესაც ელემენტარულ ნაწილათა შემსწავლელი ფიზიკოსები წინასწრობის სპონტანური დაღწევის აღსაწერად.

ბურიდანის კოლეჯა, ნიკოლა ორემი წერდა, რომ დაკვირვებით ვერც დავამტკიცებთ და ვერც უარყვით ვარაუდს დედამიწის დღეღამური ბრუნვის შესახებ. ამავე ვარაუდის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად ვერ გამოდგება ვერც ბიბლისი ტექსტი, რადგან საღვთო წერილი არაა მეცნიერულ ტრაქტატთა კრებული. სწორედ ნიკოლა ორემმა შემოიღო XIV საუკუნეში მართკუთხა კოორდინატების იდეა, რომელიც საბოლოო გაფორმებამდე მიყვანა დეკარტემ.

XIII საუკუნის 60-იან წლებში დაინერა პიერ მარკურის თხზულება "მაგნიტის შესახებ". სამეცნიერო ტრაქტატს მხატვრული ფორმა ჰქონდა მინიჭებული: ეს თითოქსდა აღნიბი აზნაურის წერილი იყო თავისი მეგობრისადმი პრინც ასწუელის მიერ წამოწყებული ლაშქრობიდან. მარკური თითოქსდა თავისი დროის პაროდირებას ეწევა: წერილი ლათინურადაა დაწერილი სამეცნიერო თემსზე, მაშინ როცა ლათინური ენა მხოლოდ სასულიერო ბესტიარუმებში მოყვანილ მითიურ ცხოველს შეადგენდა. მოგზაური მოგვიტანებს, რომ მარტორეკა სულაც არაა ისე-დაე, როგორადაც მას პატივსაცემი ნიგუნტი წარმოგივდივდა. იგი საზიზღარი გარეგნობისაა, ძალიან დიდი და ტანით უფრო ღორს ჰგავს, ვიდრე თეთრ ცხენს. თვით მარკო პოლის ბოლომდე არ ყოფნის ავტორიტეტის უარყოფის გამოდგამა. იგი ამტკიცებს, რომ სულიერი წიგნები, ძირითადად, ქუშიმარტებას გვამცნობენ და თუ ცდებიან, — მხოლოდ აღწერაში. დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ვენეციელი ვაჭარი სალამანდრას, — ხელოვს, რომელიც, ბესტიარუმების მტკიცებით, ცეცხლში არ ინვის, მაგრამ ვერსად მიავსო.

მარკო პოლის წიგნიდან გაიცნეს ევროპელებმა პირველად თეთრი დათვი, სიასამური, იაკი, ავაზა, გიგანტური გველები. და მაინც, მრავალ ზუსტ ცნობასთან ერთად, მარკო პოლო უამრავ ლეგენდასაც გადმოგვცემს. მაგალითად იგი ზღაპრულად აღწერს იაპონიის კუნულ ზიანგუს მმართველის სასახლეს, სადაც არასოდეს ყოფილა. "მილიონში" წერია, რომ სასახლის იატაკი და ელდები სუფთა თქროს ორი თითის სისქის ფენითაა დაფარული, ასევე ოქროთი და ძვირფასი თვლებითაა მორთული სასახლის სარკმლები. მარკო პოლო მოგვიხსობს, რომ მმართველის მსახურები მაგიის კანონებს ფლობენ და სიტყვის ძალით მთების დაძვრაც შეუძლიათ.

ამ ზღაპრული ელემენტების მიუხედავად, მარკო პოლო არასოდეს ცდებდა პირად უშუალო დაკვირვებებში. მაგალითად, დიდი ადგილი ეთმობა ერთი უბრალო აღმოსავლური ტექნიკურის აღწერას, რომელიც გაყინული რძის მასისგან მზადდება. ამ მასით გაცხელებული მინის ჭურჭელი ლითონის თოვლით სავსე კასრში იყო მოთავსებული. ვასაგებია, რომ საუბარია ჩვეულებრივ ნაყინზე. მარკო პოლო მიხვდა, რომ მის ვასაყინად გამოყენებულ თოვლზე დამატებული იყო მარილი. ასეთი ხერხით მიღწეოდა ყინულის გაყინვა -20°-მდე.

მარკო პოლოს გზას XIV საუკუნეში მრავალი ევროპელი მისიონერი და ვაჭარი გაჰყვა. მათი ნიგებინად გაიგეს ევროპელებმა აღმოსავლეთის ზღაპრული სიმდიდრის შესახებ ჯერ კიდევ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქის დაწყებამდე.

მარკო პოლო

XIII საუკუნის დასასრულის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვენეციელი ვაჭრის, მარკო პოლოს (1254 - 1324) მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მარკო პოლომ ჩინეთამდე მიადწინა და უკან ზღვით დაბრუნდა. წინა მოგზაურობათაგან განსხვავებით ეს წამოწყება მისიონერულ მიზნებს არ ისახავდა და სავაჭრო ინტერესებით იყო ნაკარნახევი. 17 წლისა იყო მარკო, როცა მამასა და ძმასთან ერთად მიატოვა მშობლიური ვენეცია და მონღოლეთში გაემგზავრა. იმ რაღვნიმე წლის განმავლობაში, რაც მოგზაურობამ გასტანა, მარკო პოლომ შეისწავლა მონღოლთა ენა და ზნე-ჩვეულებები, ყაენის სამსახურში შევიდა და ურდოში ბევრს მოგზაურობდა




მითიური მარტორეკა

როგორც უმაღლესი ხელისუფლების დესპანი. მხოლოდ ჩვიდმეტი წლის შემდეგ მოახერხა მოგზაურმა სამშობლოში დაბრუნება. ვენეცია იმ დროს გენუასთან ომით იყო ვართული. საბრძოლო ვალერის კაპიტანი მარკო პოლო გენუალებმა დაატყვევეს და დღევმდე დაამწყვდიეს. აქ მას შეხვდა ვინმე ფლორენციელი, სახელად **რუსტიჩანო** — რაინდული და ვასართობი რომანეტის ავტორი. მარკო პოლომ მას უკარნახა თავისი მოგზაურობების აღწერა, რის შედეგადაც რუსტიჩანომ ფრანგული ნიგნი შეადგინა. ენის არჩევანი ფრანგულის იმდროინდელ მსოფლიოში მეტი გავრცელებულობითა და უფრო მაღალი პრესტიჟით იყო განხირობებული. ტექსტი მალევე ითარგმნა ავტორის მშობლიურ იტალიურ ენაზე და მას იტალიურ ტრადიციაში "მილიონი" ეწოდება, რადგანაც ასეთი იყო მარკო პოლოს გვერდის მეტსახელი.

თანამედროვე ვენეციელი მოგზაურის ბევრ მონათხრობს უნდობლობით შეხვდნენ. ნიგნი მრავალი საკვირველი რამაა მოთხრობილი : უცნაურ ცხოველთა და მცენარეთა აღწერა, მორიელი ქვეყნების მცხოვრებთა წეს-ჩვეულებები, პურის ხის გულისგან გამომცხვარი პურების მომზადების რეცეპტი, საოცარი ქვის აღწერა, რომელსაც დღეღამს ნაყავენ, სანამ წვრილ ძაფებად არ დამოღება და ამ ძაფებისაგან ცეცხლგამძლე თეთრ ქსოვილს აკეთებენ. ვასაგებია, რომ ავტორი გულისხმობდა ასბეტის ქსოვილს. ასევე უცნაური იყო მსმენელთათვის სასწაულებრივი შავი ქვეყნის ისტორია. ამ ქვეყნა ჩინელები მინიდან იღებენ და ბუნებრივ ყრიან. ქვა შუშაზე დღეღამს ინვის და უფრო მეტ სიმხურვადაც იძლევა. მაშინდელ ევროპაში ჯერ უცნობი იყო ქვანახშირი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ "მილიონის" 22-ე თავი საქართველოს მეფეს ეძღვნება. ამ მეფეს დიდი ძალა და სარწმუნოებით ნესტორიანელა.



მარკო პოლოს მიერ ნაწახი მარტორეკა

მარკო პოლო, ალბათ, იმ დროისათვის უკვე დიდი ხნის გარდაცვლილ და ენი აღმამენებულს გულისხმობს. ვენეციელ მოგზაურს საქართველოზე არ გაუყვლია და ჩვენი ქვეყნის შესახებ არსებული თქმულებებითა და გადმოცემებით სარგებლობდა. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ ქართველებს ვერავენ შეეღრება მიმინიერება ნადირობაში.

თანამედროვეთა უნდობლობა ბუნებრივად იყო გამოწვეული იმით, რომ მარკო პოლოს ტექსტი ეკლესიური წილიდან არ გამოსულია და ტრადიციული ავტორიტეტის უფლებებით არ სარგებლობდა. ამ ავტორიტეტთა დასტურს ეძებდა თვით მოგზაური, მაგრამ ამაღ.

კუნძულ იავაზე ან სუმატრაზე ყოფნისას მარკო პოლომ ნახა მარტორეკა და შუასაუკუნეობრივ ბესტიარუმებში მოყვანილ მითიურ ცხოველს შეადგენა იგი. მოგზაური მოგვიტანებს, რომ მარტორეკა სულაც არაა ისე-დაე, როგორადაც მას პატივსაცემი ნიგუნტი წარმოგივდივდა. იგი საზიზღარი გარეგნობისაა, ძალიან დიდი და ტანით უფრო ღორს ჰგავს, ვიდრე თეთრ ცხენს. თვით მარკო პოლის ბოლომდე არ ყოფნის ავტორიტეტის უარყოფის გამოდგამა. იგი ამტკიცებს, რომ სულიერი წიგნები, ძირითადად, ქუშიმარტებას გვამცნობენ და თუ ცდებიან, — მხოლოდ აღწერაში. დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ვენეციელი ვაჭარი სალამანდრას, — ხელოვს, რომელიც, ბესტიარუმების მტკიცებით, ცეცხლში არ ინვის, მაგრამ ვერსად მიავსო.

მარკო პოლის წიგნიდან გაიცნეს ევროპელებმა პირველად თეთრი დათვი, სიასამური, იაკი, ავაზა, გიგანტური გველები. და მაინც, მრავალ ზუსტ ცნობასთან ერთად, მარკო პოლო უამრავ ლეგენდასაც გადმოგვცემს. მაგალითად იგი ზღაპრულად აღწერს იაპონიის კუნულ ზიანგუს მმართველის სასახლეს, სადაც არასოდეს ყოფილა. "მილიონში" წერია, რომ სასახლის იატაკი და ელდები სუფთა თქროს ორი თითის სისქის ფენითაა დაფარული, ასევე ოქროთი და ძვირფასი თვლებითაა მორთული სასახლის სარკმლები. მარკო პოლო მოგვიხსობს, რომ მმართველის მსახურები მაგიის კანონებს ფლობენ და სიტყვის ძალით მთების დაძვრაც შეუძლიათ.

ამ ზღაპრული ელემენტების მიუხედავად, მარკო პოლო არასოდეს ცდებდა პირად უშუალო დაკვირვებებში. მაგალითად, დიდი ადგილი ეთმობა ერთი უბრალო აღმოსავლური ტექნიკურის აღწერას, რომელიც გაყინული რძის მასისგან მზადდება. ამ მასით გაცხელებული მინის ჭურჭელი ლითონის თოვლით სავსე კასრში იყო მოთავსებული. ვასაგებია, რომ საუბარია ჩვეულებრივ ნაყინზე. მარკო პოლო მიხვდა, რომ მის ვასაყინად გამოყენებულ თოვლზე დამატებული იყო მარილი. ასეთი ხერხით მიღწეოდა ყინულის გაყინვა -20°-მდე.

მარკო პოლოს გზას XIV საუკუნეში მრავალი ევროპელი მისიონერი და ვაჭარი გაჰყვა. მათი ნიგებინად გაიგეს ევროპელებმა აღმოსავლეთის ზღაპრული სიმდიდრის შესახებ ჯერ კიდევ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქის დაწყებამდე.

ფეხბურთი

ჯანი კარნავალე: სარეპორტო ანბონები მაინც არ გვაქვს

საქართველოს ფეხბურთის ჩემპიონატის მე-15 ტური სენსაციური გამოდგა. თუ წინა შეხვედრაში ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის "დინამომ" საკუთარი კარის "მშრალად" შენახვის თითქმის ერთწლიანი სერია დაასრულა, გუშინ ეროვნულ სტადიონზე ამ გუნდის კიდევ ერთ წარმატებულ სერიას დაესვა წერტილი. "დინამო", რომელსაც მთელი პირველი წრის განმავლობაში მარცხი არ განუცდია და მეორე წრის პირველ ორ შეხვედრაშიც გამარჯვებული გამოვიდა, დამარცხდა. კიდევ ერთი ნონსენსი: "დინამომ" მეტოქის კარიბი გოლის გატანა ვერ მოახერხა. "ვიტ ჯორჯიამ" დამსახურებულად გამარჯვა, - განაცხადა მატჩის შემდეგ დინამოელთა ხორვატმა თავკაცმა ივო შუშკამა. ვინც ეს თამაში იხილა, ამ სიტყვებს დაეთანხმება.



შეხვედრის მომენტი

კარნეველემ, მართლაც, კარგი გუნდი შექმნა. "ვიტ ჯორჯიამ" კარნეველეს მიერ დასახული ტაქტიკის მკაცრი დაცვით თითქმის უშეცდომოდ ითამაშა. თანაც, მხოლოდ დაცვაში კი არ ითამაშა კარგად - რაც იტალიური ფეხბურთის კოზირია და, შესაბამისად, არც კარნეველეს ესწავლება - არამედ შეტევაშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კიდევ ერთი სასიამოვნო მომენტი უნდა აღინიშნოს - თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე სხვა გუნდების დაპირისპირებაში ერთი ტენდენცია გაჩნდა. როგორც ნუსი, საქართველოს ჩემპიონატის ლიდერის უპირატესობა, განსაკუთრებით, თვალსაჩინო ხდება მეორე ტაიმში, რაც დინამოელთა შესაბამისი ფიზიკური მზადყოფნის შედეგია. სწორედ, ამ უპირატესობის ხარჯზე მოახერხეს დინამოელებმა რამდენიმე გუნდის კარიბი მეორე ტაიმში გოლების გატანა. როგორც აღმოჩნდა, "ვიტ ჯორჯიამ" ფიზიკურადც ჩინებულად არის მომზადებული. კარნეველეს გუნდმა გოლი სწორედ მეორე ტაიმში, 70-ე წუთზე გაიტანა და დანიშნულების შედეგ

ყოფილა. თამაშის ხასიათიც ისეთი იყო, რომ გუნდები ძალიან ფრთხილბუნდნი და მეტოქისგან შეცდომის დაშვებას ელოდნენ. სამწუხაროდ, შეცდომა პირველებმა ჩვენ დაუშვენივლად დაივსავეთ. "ვიტ ჯორჯიამ" კი, პრაქტიკულად, უშეცდომოდ ითამაშა და დამსახურებულად გამარჯვა. ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის - ჩვენს ნაუკებელ სერიასაც. ვეცდებით, ეს მარცხი ჩვენსავე სასარგებლოდ გამოვიყენოთ და მომავალში იგივე შეცდომები არ დაუშვათ. დანი, კარნეველემ: "დამეთანხმებით, რომ "დინამო" დღეისათვის საქართველოს უძლიერესი გუნდია. ჩვენი გამარჯვება, პირველი რიგში, იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ მეტოქეს თავისი თამაშის ჩვენთვის თავს მოხვედრის საშუალება არ მიეცით. მე ფრენც დამაკმაყოფილებდა, გამარჯვებამ კი ძალიან გახარებდა. და მინც, ჩვენს გუნდს ამ სეზონში საჩემპიონო ამბიციები არ აქვს. "ვიტ ჯორჯიამ" უფერს თავის საზღვრისთვის იბრძოლებს. თუმცა, თუ სერვისის ბოლო პირველ საფეხურზე აღმოჩნდით, არც ეს გვეწყინება."

მიხილ აბიჯილი

"დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0) ვიტ კორჯია

"დინამო": გვარამბეძე, ვაშაყიძე, შამიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაცი, და როჩა (კანდელაკი 54'), გოგობერიშვილი, ანზაბაძე (მიტაძე 75'), ბურდული, დარასელი, ბობოხიძე (ალექსიძე 54'). "ვიტ ჯორჯია": მერლანი, კობიაშვილი (თედორაძე 89'), მერეზაშვილი, მუჯირი, ნოზაძე, გოჩიაშვილი (ფიქრიშვილი 86'), დოლიძე, გველეხიანი, ყიფიანი, ქიქიაშვილი (ინჩკირევილი 73'), მელაძე. გოლი: 0:1 ნოზაძე (70'). გაფრთხილებები: ამისულაშვილი, დარასელი, კობიაშვილი, მერეზაშვილი. მთავარი მსჯედი: მერაბ მაღალურაძე (თბილისი).

"ვიტ ჯორჯიამ" გამარჯვა და ამ გამარჯვებაში ქართველი გულშემატკივრებისთვის ყველაზე სასიხარულო არის, რომ გამოჩნდა გუნდი, რომელიც შესაფერის ნინაღვლიანობას უნებს აღმავლობის გზაზე მყოფ "დინამოს". უფრო მეტიც, გუშინ "დინამომ" არა თუ გოლი ვერ გაუტანა მეტოქეს, არამედ ერთი აშკარა საგოლე მომენტიც ვერ შექმნა. "ვეტერინართა" იტალიელმა მწვრთნელმა, ჯანი

მიროსლავ კლოჯა - ზომბარდირთა ზომბარდირი

საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო მომბარდირთა სია 2002 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. რეიტინგში ვათვლიწინებულთა მხოლოდ ოცი ცალიურ საერთაშორისო შეხვედრებში გატანილი გოლები, როგორც ეროვნული ნაკრები გუნდების, ისე საკლუბო ტურნირების დონეზე.



მიროსლავ კლოჯე

- 1. მიროსლავ კლოჯე (გერმანია, "კაიზერსლაუტერნი") - 12 (12 - ნაკრების შემადგენლობაში, 0 - კლუბში)
2. იონ დალ ტომასონი (დანია, "ფეინორდი", "მილანი") - 11 (9/2)
3. ალესანდრო ფერნანდესი (ბრაზილია, "მორელია") - 11 (0/11)
4. ფილიპო ინძაგი (იტალია, "მილანი") - 11 (0/11)
5. მიხაელ ბალაკი (გერმანია, "ბაიერი", "ბაიერი") - 10 (6/4)
6. რაული (ესპანეთი, "რეალი") - 10 (6/4)
7. იან კოლერი (ჩეხეთი, "ბორუსია") - 10 (5/5)
8. რიჩარდ მორალესი (ურუგვაი, "ნასიონალი") - 10 (3/7)
9. ოლე გუნარ სოლსკაიერი (ნორვეგია, "მანჩესტერ იუნაიტედი") - 10 (2/8)
10. როდრიგო ფაბიანო მენდესი (ბრაზილია, "გრემიო") - 10 (0/10)
11. რონალდო (ბრაზილია, "ინტერი", "რეალი") - 9 (9/0)
12. იორის პიბე (ახალი კალედონია, "მინტ დორე") - 9 (9/0)
13. მაიკლ ოუენი (ინგლისი, "ლივერპული") - 9 (6/3)
14. ჰაკან იაკინი (შვეიცარია, "ზაუხერი") - 9 (5/4)
15. ხოსე გუტი (ესპანეთი, "რეალი") - 9 (1/8)
16. ვან შოიდონკი (პოლანდია, "ფეინორდი") - 9 (9/0)
17. ჯულიუს აგაპოვა (ნიგერია, "შახტარი") - 8 (7/1)
18. ალესანდრო დელ პიერი (იტალია, "იუვენტუსი") - 8 (5/3)
19. ანდრე ბილალი (გვიბუტე, "ნაციონალი") - 8 (3/5)
20. პეტრო ლარსონი (შვედეთი, "სელტიკი") - 8 (3/5)
21. როი მაკაი (პოლანდია, "დეპორტულო") - 8 (6/3)
22. ჰაკან იაკინი (შვეიცარია, "ზაუხერი") - 8 (2/6)
23. ხოსე გუტი (ესპანეთი, "რეალი") - 8 (0/8)
24. როი ჩარლზი (გრენადა, "KPR") - 7 (7/0)
25. კლინტ მატისი (აშშ, "ნიუ იორკი", "ნიუ ჯერსი მეტროსტარზი") - 7 (0/7)

ლია, "იუვენტუსი") - 8 (5/3)
19. ანდრე ბილალი (გვიბუტე, "ნაციონალი") - 8 (3/5)
20. პეტრო ლარსონი (შვედეთი, "სელტიკი") - 8 (3/5)
21. როი მაკაი (პოლანდია, "დეპორტულო") - 8 (6/3)
22. ჰაკან იაკინი (შვეიცარია, "ზაუხერი") - 9 (5/4)
23. ხოსე გუტი (ესპანეთი, "რეალი") - 9 (1/8)
24. როი ჩარლზი (გრენადა, "KPR") - 7 (7/0)
25. კლინტ მატისი (აშშ, "ნიუ იორკი", "ნიუ ჯერსი მეტროსტარზი") - 7 (0/7)

მოკლედ

ფეხბურთი. იტალიური "რომას" მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა ანტონიო კასანოს დემარში აპატიეს. კასანომ ვუნდის ვარჯიშო მას შემდეგ მიატოვა, რაც გაირკვა, რომ "პერუჯას" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში არ ითამაშებდა. კასანო კლუბმა 30 თასი გირფანჯა სტრენიგით დააჯივრა. ფეხბურთელს დიდი შანსი აქვს, მომავალში ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს, რადგან გაბრიელ ბატისტინა ტრაფირებულია, ვინჩენცო მონტელა კი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფება.

ფეხბურთი. პორტუგალიის ნაკრებმა ერთი თამაშით გაუგრძელა კონტრაქტი მთავარი მწვრთნელის მთავარი მოვალეობის შემსრულებელ ავოსტინო ოლივეირას. ჯერჯერობით პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შესაფერისი კანდიდატურა ვერ მოძებნა და პორტუგალიის ნაკრებს შოტლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც 20 ნოემბერს გაიმართება, ოლივეირა უხელმძღვანელებს. საფარაუდოდ, პორტუგალიის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა თებერვალში გაირკვევა, როცა გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩაატარებს.

ფეხბურთი. ბარსელონის "ესპანოლმა" თანამდებობიდან ოფიციალურად გაათავისუფლა მწვრთნელი ხუანდო რამოსი. კლუბის ცნობით, რამოსი არავითარ კომპენსაციას არ მიიღებს. "ესპანოლის" ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ რამოსი გუნდთან არადადამკაყოფილებელი შედეგებისთვის და პრესაში ბევრი ლაპარაკისთვის გაათავისუფლეს. ამჟამად კლუბს რამოს მთია წერთის, რომელმაც კატალიური კლუბში მოღვაწეობა ორი გამარჯვებით დაიწყო.

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა, რომ შემოთვალისწინებული თვის ფეხბურთელების ფუნქციონალური მდგომარეობით და ნაწყენ მითამაშებებს დასვენების საშუალებას აძლევს. "ჩვენ არ შეგვიძლია, უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშოთ ყველა იმ ტურნირში, რომელშიც გუნდი მონაწილეობს. ასე რომ, ყველა ის ფეხბურთელი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც გუნდში ირიცხება", - განაცხადა დელ ბოსკემ.

ფეხბურთი. პორტუგალიელმა ლუიშ ფიგუემ დიდი ხნის შემდეგ გადაწყვიტა, ისაუბროს "ბარსელონიდან" "რეალში" გადასვლის დეტალებზე. ფიგუს თქმით, კატალიონელებმა სიმართლე დაფარეს, როცა განაცხადეს, რომ გამოამაშებდნენ შენარჩუნება სურდათ და მხოლოდ ფეხბურთელები დაფინანსდებიან სურვილის გამო დაიხიეს უკან. რეალურად კი, ამ გარეგნობის ინიციატივა "ბარსელონას" ხელმძღვანელობისგან მომდინარეობდა. "ეს რთული გადაწყვეტილება იყო. მე "ბარსელო" დარჩენა მსურდა, მაგრამ, ფინანსური მოსაზრებების გამო, კლუბის შეფობა იძულებული გახდა ძვირადღირებული ფეხბურთელები გაეყიდა. მაგალითად, ისეთები, როგორც - მე და რივალი. ახლა კი კლუბის დირექტორები სიმართლის დაფარვას ცდილობენ", - განაცხადა ფიგუემ.

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი ორონდო, რომელსაც, უკვე ექვსი მატჩი, რაც გოლი არ გაუტანია, დარწმუნებულია, რომ ცოტა ხანში მეტოქეებს კვლავ ბევრ თავსატეხს გაუშენს. ბოლოს "კიჩამ" გოლი 6 ოქტომბერის "ალევისთან" შეხვედრაში გაიტანა. ეს იყო მადრიდში ბრაზილიელის სადებიუტო მატჩი. მან მინდორზე მხოლოდ 14 წუთი დაჰყო და ორი გოლი გაიტანა. "დარწმუნებული ვარ, რომ გოლები თვითონ მოვა, უბრალოდ, მოთმინება გვამართებს. არ შეიძლება, ყოველთვის ისე კარგად ვაგონებდეს მოვლენები, როგორც ჩვენ სადებიუტო მატჩში იყო. როგორც კი ახალ პარტნიორებთან შეთანხმებას მოვახერხებ, მაშინვე უკეთ ვითამაშებ", - განაცხადა ორონდო.

ფეხბურთი. ლიბის ლიდერის მუამარ კადაფის ვაჟმა ალ-საად კადაფიმ რომის "ლაციოსთან" კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმების საფუძველზე, "ლაციო" ვალდებულია, წელწინაში ერთხელ ტრიპოლიში ამხანაგური მატჩი გამართოს. ამის სანაცვლოდ, კადაფი კლუბის ბიუჯეტში ყოველწლიურად 600 000 დოლარს გადაირიცხავს. ლიბიელის განმარტებით, ჯერჯერობით მის გეგმებში არ შედის, "ლაციოს" ერთ-ერთი მფლობელი გახდეს. ანალიტიკური კონტრაქტი კადაფიმ ადრე "იუვენტუსთანაც" გააფორმა, რომელმაც წელს ტრიპოლიში იტალიის სუპერთასის მატჩი ჩაატარა "პარმას" წინააღმდეგ.

ფეხბურთი. "მილანის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კლუბში თავისი პირველი სეზონით უკმაყოფილოა. "ჩვენ დღემდე არაფერი მოგვიკმა, - განაცხადა მწვრთნელმა. მისი თქმით, ქვეყნის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია გუნდში მაღალი კლასის ოსტატებისა და ახალი იდეების არსებობა. "ფიქრობ, "მილანს" თავის არსებობაში ეს ატრიბუტები აქვს", - თქვა ანჩელოტომ. მან ისიც დაამატა, რომ ისეთი ვარსკვლავების გეგმვით, როგორც ამაყ-მინდო "მილანს" ჰყავს, თვითონვე დიდი სიახლეების ითამაშებდა. ამჟამად "მილანი" იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ვაიმდე გაინდდა მეორე ეტაპის საგზური.

კალათბურთი. ესპანეთში ტრავმულია დატარდა. ერთმანეთს მესამე ლიგის გუნდები "კაიროსა" და "არდინა დე კანარისის" ხედიდანდნენ. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმართა გუნდის მოთამაშე თანამშრომელი და ტორე ბურთისთვის ბრძოლაში მონაწილედგეს შეეჯახა. მას იდვივი მოხვდა და იატაკს თავი დაარტყა. დაცემის შემდეგ კალათბურთელმა გონება დაკარგა, კუნთები დაუფშლურდა და ენა გადაჰკალა. ექიმებს 20 წლის მოთამაშე საავადმყოფოში გადაჰყავდა, მაგრამ კალათბურთელს გზად უკვე გული გაუჩერდა. ექიმთა მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ერნესტო დე ლა ტორე გარდაიცვალა.

კადრები

ქალაქმა წააგეს... ვაჟები მესამე ადგილზე არიან

ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა. უკანასკნელი მეთერთმეტე ტურის შეხვედრებმა რადიკალურად შეცვალა ქართველი მოჭადრაკეების სატურნირო სიტუაცია. ქალებმა ძლიერ მეტოქეებთან, ჩინელებთან, რუსებთან და უნგრელებთან გამარჯვებების შემდეგ, შედარებით სუსტ მეტოქეებთან წაიბრძოლიეს. კაცებმა კი დამაჯერებლად გამარჯვეს და მესამე ადგილზე გადაინაცვლეს.

დინამიკა ოკოლაძე

ქართველ ვაჟ მოჭადრაკეთა გამოსვლა ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მე-10 ტურში საქართველოს ნაკრებმა 2,5:1,5 დაამარცხა პოლანდიის ძლიერი გუნდი და ამოუხსნა დინამიკის რეპუტაცია დაიმსახურა. გუნდი - გამოცანისგან კი ყველაფერი მოსალოდნელია. არაფერს იცის, სად და როდის ჩავისაფრდება საქართველოს ნაკრები, - ამბობენ რუსი

ერთი ფაგორიტი - პოლანდიის გუნდი დამარცხდა. ვადამწყვეტ პარტიამ გაგუნაშვილდა, შვაი ფიგურებით, ვიდ დენ დოლეს მოუგო და საქართველოს ნაკრებს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შესაძლებლობა შეუნარჩუნა. რუსებმა კი ნაროდიცის გამობზარების შემდეგ უნგრელებსგან პირველი მარცხი იხსნეს და სლავების უპირატესობა ეფვეტემ დააყვედნ. მეთერთმეტე ტური მოულოდნელად დასრულდა. ვაჟმა მოჭადრაკეებმა შედეგის ნინაღვლიანობაში აწინააღმდეგა დასაძინეს. სტურუამ დამაჯერებლად დაამარცხა ევგენი არგესტი, ფრედ დასრულდა შედეგლოგილისა და იზორიას პარტიები. ვადამწყვეტი გამოდგა გუგულის "სპორტ სეკონდისა" წინმოხილებული ლეონიდ ნაროდიცის. მე-10 ტურში საქართველოს ნაკრებმა, სწორედ, ნაროდიცის ერთ-

სუსტად ჩაატარეს შეხვედრა პოლონელთა წინააღმდეგ. ჩიბურდანიძე, ძეიოსელიანი და არახაძე-რადფევიცს, დეორაკოვსკაიას და მინიკა სკოკოს შეხვედნენ. არახაძემა, ხუთი მოგებული და ერთი ფრედ დასრულებული პარტიების შემდეგ მოულოდნელად ნაავო სკოკოსთან. მათი ჩიბურდანიძემ ფრედ ითამაშა რადფევიჩთან. ყველაფერი ნანა ოსებელიანისა და დეორაკოვსკაიას შეხვედრაში წყვეტოდა. სამწუხაროდ, ოსებელიანამც არახაძის ბედი გაიზიარა. მიუხედავად ამ დამარცხებისა, საქართველოს ნაკრები 24,5 ქულით პირველ ადგილზეა. თუმცა სიტუაცია გაცილებით დაიძაბა. ჩინელები რამდენიმეჯერ ორნახევრით ნახევრის მოუგეს და საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. მესამე ადგილზე 22,5 ქულით რუსეთის ნაკრებია.

კრიტი

ფორმენა ალის ლუისი ანბონინა

შარშან იოჰანესბურგში, როდესაც ბრიტანელი ლენოქს ლუისი და ამერიკელი პასიმ რაჰმანი ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ, კრივის მოყვარულთა უმეტესობას აუტსაიდერდა, ბუნებრივია, ამერიკელი მიაჩნდა. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა. მეხუთე რაუნდში ბრიტანელის მარცხმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთი ამას დადგმულ საბუქტაკო უწოდებდნენ, მეორე კი გულწრფელად მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამაოგნებელი მარცხი. ასეა თუ ისე, იოჰანესბურგში განცდილმა მარცხმა ლუისს მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ჯილდოდ დაწესებული 50 მილიონი ფუნტი სტრუქტონი დააკარგვინა. მიუხედავად ამისა, აღმოჩენილმა საკუთარ გულშემატკივრებს პირბა დაულო: "მე კიდევ დაგებრუნდება".



ლენოქს ლუისი

მიზა გარსასაპილი

ლუისმა პირობა გადაჭარბებით რომ შეასრულა, ამაში მემფისის "პირამიდის" სარბიელზე თავშეყრილი ეგზალტირებული მასაც დარწმუნდა, როდესაც მერვე რაუნდში ძირის გამშლართული მაიკ ტაისონი იხილა. კრივის მაიკთან გამარჯვებით ლუისმა როგორც საბჭოს, ისე ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულები დაიცვა, არადა, აღმოჩენილთან შეკრინებამდე ტაისონმა არაერთხელ დაიქაფა, რომ იგი ლუისის თავის ქალას მუაზე გაუპობდა. "უნდა ვაღიარო, რომ ლუისის დამარცხების არანაირი საშუალება არ არსებობს. იგი მეტისმეტად ძლიერი პირაა", - თქვა ბრიტანელთან მარცხის შემდეგ ტაისონმა. ტაისონის აღიარების გარდა, ლუისმა ყველაზე მთავარი - კრიტიკოსთა აღიარება და პატივისცემაც დაიმსახურა. მეტიც, როგორც იქნა, 36 წლის ლუისი კრივის ისტორიის უდიდეს მძიმეწონისა და დასახულება, ზოგიერთი თვის აზრით, დიდხანსარული მუშაუმდე

რასაც მათ უშეხლდა, მისი მომავალი კარიერა ვახლდათ. ერთხელ მან განაცხადა - დიდი სურვილი მაქვს, ბევრ ლეზი მყავდეს, მაგრამ კრივი ბევრ დამთობას და მსხვერპლს მოითხოვსო. ასე რომ, დამხრწნება მანამდე გადაიდება, ვიდრე რინგზე საკუთარ მისიას არ შევასრულებო. "ლენოქსსა და აიშას ძალზე ახლო ურთიერთობა აქვთ. არ გამოკვირდება, თუ ახლო მომავალში მათი ქორწილის მომხრწნეც გავხდებით", - აცხადებს ლუისის დაახლოებული ერთ-ერთი პირი.

